№ 3003
ოთხშაბათი,
15 თებერვალი

ცნობის ფურცელი

№ 3003
ოთხშაბათი,
15 თებერვალი

გაზეთის ფასი: წლიწადში—6 მ. თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3 კ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით, პირველ გვერდზე—15 კ., მეოთხე—10 კ.
ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „ცნობის ფურც.“ რედაქციის კონტორაში ვანქის დ ·დ ქუჩაზე, № 27. განცხადებანი რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და გ. მეტცლისა და ამხ. განცხადებათა კანტორებში მოსკოვსა და პეტერბურგში.

ყოველ-დღიური გამოცემა
1896—1906

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმე ბის გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.—დაუბეჭდავს მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქციაში არ ინახავს ხოლო ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-“Моамбе“. ტელეფონი № 372

1906 წელს
„ცნობის ფურცელი“ სურათებიანი დამატებით

გამოვა იმავე პროგრამით, ყოველ დღე, გარდა ორშაბათისა და დიდი უქმეების შემდეგ. დაახლოვებით თებერვლის გასულს ან მარტში გაზეთის ფორმატი **გადიდებული** იქნება. ამისათვის გერმანიიდან დაბარებულია განსაკუთრებული მსწრაფლ-მბეჭდავი მანქანა და ქაღალდი. ქაღალდი უკვე მოვიდა, ხოლო მანქანა გზაშია.

ფასი გაზეთისა:

კავკასიაში და რუსეთის ყველა ქალაქებში გაგზავნით ერთის წლით **6** მან.
ერთის თვით 50 კაპ.

საზღვარ-გარედ გაგზავნით ერთის წლით **11** მან.
ერთის თვით 1 მან.

გაზეთის ხელის მომწერთ გაეგზავნებათ სურათებიანი დამატება

დამატებაში, გარდა ქართველთა და რუსეთის ცხოვრებიდან აღებულ სურათებისა, მოთავსებული იქნება სურათები ადგილობრივ ცხოვრებიდანაც. დამატებაში მონაწილეობას მიიღებენ, გარდა მუდმივ თანამშრომლისა ასტვარი ოსკარ შმერლინგისა და გოგიაშვილისა, მხატვრები გრინევსკი, ბერიძე და როტტერი.

„ცნობის ფურცლის“ წლიურ ხელისმომწერთ ერთის მანეთის დამატებით გაეგზავნებათ იუმორისტული ჟურნალი „ნაპერწკალი“.

ადრესი: Тифлисъ, редакція „Цнобисъ Пурцели“.

12 თებერვალს, დილის 7 საათზე. ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა

კნეინა ეფემია დავითის ასული ნიჟარამისა,

რასაც მწუხარებით აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ მეუღლე განსვენებულისა თავ. კონსტანტინე დავითის ძე შვილებით, შვილისშვილით და სიძით. პანაშვიდი ყოველ დღე, დილით 12 ს., საღამოთი 4 საათზე. გამოსვენება და დაკრძალვა სოფ. მაღლაკში ხუთშაბათს, 16 თებერვალს, დილის 10 საათზე. (2—54—2)

მელანია ივანეს ასული, სოფიო გრიგოლის ასული, იოსებ გრიგოლის ძე, გაბრიელ გრიგოლის ძე და თამარ გრიგოლის ასული რომანიშვილები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ოთხშაბათს, 15 თებერვალს 10 საათზე, აჩჩისხატის სობოროში გადახდილი იქნება ორმოცის დღის წირვა და პანაშვიდი განსვენებულ

გრიგოლ ზაქარიას ძის რომანიშვილის

სულის მოსახსენებლად. (2—2)

მედიცინის დოქტორი
გრიგოლ იოსების ძე გურგენოვი,

რომელიც ხარკოვის უნივერსიტეტის საბებიო და საგინეკოლოგო კლინიკის შტატის ორდინატორად იყო, იღებს საბებიო და ქალთა სნეულებით ავადმყოფებს. ავადმყოფები მიიღება: დილით 10-დან 12-მდე; საღამოთი 5 დან 7 საათამდე. გოლოვინის პროსპ. № 12, სახლი მდივნიზა, საარტისტო საზოგადოების პირდაპირ. (30—53—2)

ტფილისის სათავად-აზნაურო კერძო
გიმნაზიის

პედაგოგიური საბჭო ამით აცხადებს, რომ ოთხშაბათს, 15 თებერვალს, სწავლა განახლდება ყველა კლასებში. (3—6.—2)

ვისაც სურს

სახლი ააშენოს, ან უკვე აშენებული სახლი გადააკეთოს კეთილად, იაფად და მკვიდრათ, ვკისრულობ ხელმძღვანელობას და ზედამხედველობას ყველასათვის ხელმისაწვდომ პირობებით. ვიღებ სახაზავ საქმეებსაც.

მსურველმა მომმართოს: 1) სასახლის ქუჩაზე, სარაჯიშვილის სახლის ეზოში, Бюро „Сотрудникъ“-ის კონტორაში, ტელეფონი № 60, ან 2) ჩუღურეთში, გონჩარნი ქუჩაზე, საკ. სახლი № 28.
(10—6—7) ტეხნიკოსი **გიგო თოიძე.**

ა. პ. შულცინა-მესხი

გაკვეთილები საოპერო სიმღერისა, ამზადებს ქართულ ოპერებისთვის და აგრეთვე პრაქტიკული და თეორეტიული გაკვეთილები ფრანგულ, გერმანულ და იტალიურ ენებისა. ვერის დაღმართი № 1 (თვ.)

სამკურნალო
ექიმთა საზოგადოებისა
ტფილისში

მუდმივის საწოლებით, ელისავეტინსკის ქუჩა, 101, ტელ. 1026.

მიიღებიან გარედან მოსიარულე ავადმყოფნი

მ. ზ. ალაჯანოვი. 1—2 ს. შარდისა, ვენერიულ, სიფილისის და ტყავის ავადმყოფობანი.

ი. ნ. იზიაზაროვი. 11—12 ს. ნერვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი, ელექტრონით წამლობა.

პ. ნ. დემიდოვი. 11—12 ს. ქალის ავადმყოფობანი და ბებიაობა.

ზ. ა. ტატევოსოვი. 12—1 ს. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობანი.

ი. ე. ავეტისოვი. 12—1 ს. ქალის ავადმყოფობანი და ბებიაობა.

მ. პ. ქიმოტი. 1—2 ს. სადოსტაქრო ავადმყოფობანი.

მ. რ. ელჩიევი. 1—2 ს. ცხვირისა, ყელისა და ყურის ავადმყოფობანი.

პ. ა. ზეიერი. 1—2 ს. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

სამკურნალოსთან შეიძლება ჰიპნოტიზმით მკურნალობა, მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი, აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ. ოპერაციები და კონსულტაციები მორიგებით. სასტაციონერო განყოფილება შეიცავს საზოგადო პალატას და ცალკე ოთახებს. (150—46)

„ცნობის ფურცელზე“

ხელის მოწერა მიიღება: **ჭიათურაში** ბ-ნ **სოფ. ტარიელიშვილთან** ჭიათურის საურთიერთო კრედიტის ბანკში. იქვე იყიდება ცალკე ნომრები. **ქუთაისში** ბ-ნ ის. კვიცარიძესთან. იქვე იყიდება ცალკე ნომრები.

კახეთის მევენახეთა საზოგადოების
„კახეთი“-ს

გამგეობა აუწყებს საზოგადოების წევრთ, რომ ამა 1906 წლის 15 მარტს დანიშნულია **საზოგადო კრება** ტფილისში დილის 10 საათზე საზოგადოების კანტორაში.

კრებამ უნდა განიხილოს: წლიური ანგარიში, 1905—1906 სამოქმედო წლის ხარჯთ-აღრიცხვა, მოხსენება კომისიისა შესახებ ღვინის დაფასების ინსტრუქციის შეცვლაზე; კითხვა განყოფილებების გახსნის შესახებ; განხილვა ინსტრუქციისა შესახებ საზოგადოების საქმეების წარმოებისა; საზოგადოების ახალ წევრების არჩევა; არჩევა ორი სარევიზიო წევრისა, ერთი გამგეობის წევრისა და ორი გამგეობის წევრების კანდიდატებისა. (б. 3—1)

ექიმი
მ. პ. ბეჟირგანოვი

სიმონოვის ქუჩა № 7. მიიღებს ავადმყოფებს საღამოს 5—7½ საათზედ. (თვ.—27)

ექიმი
პ. ა. არდაზიანი

იღებს ბავშვებს და შინაგან ავადმყოფებს დილის 8—9 ს., საღამოს 4—7 ს. აქვე სწარმოებს ქიმიკომიკროსკოპიული გამოკვლევა (19—14)

ექიმი
მ. ს. მუსხელიშვილი

მიიღებს თვალებით ავადმყოფებს: დილით ყოველ დღე 9—11½ ს. საღამ. უქმეებს გარდა 6—7 ს. კუთხე კიროჩნის და დიდი-მთავრის ქუჩისა № 12, სახლი სვანიშვილისა.

კბილის ექიმი
ივანე პ. ახალშენიშვილი

ნიკოლოზისა (№ 14) და ხიდის ქ. (№ 21) კუთხეში, ავჭალის ქუჩის დასაწყისში, ავადმყოფებს იღებს: დილის 9—2-მდის და საღამოს 5—7-მდის. კვირა-უქმეობით 10—1-მდის.

კბილის ექიმმა
ი. ზ. კანდელაკმა

განაახლა კბილის ავადმყოფთა მიღება. სწამლობს კბილებს, აკეთებს პლომბებს და სხამს ახალ ხელოვნურ კბილებს. ავადმყოფებს იღებს 9—2 და 4—7 ს. მიხაილოვის პროსპექტი, მატინოვის სახლი № 32. ძველ ბინის გვერდზე.

ქ. ქუთაისში
ექიმი დ. ი. ჯაფარიძე

იღებს ავადმყოფებს (ყური, ყელი, ცხვირი და შინაგანი სნეულებანი), პუშკინის ქუჩა, სახლი გოკიელოვისა. (15—კვ.—4)

ელექტრო-თერაპიული კაბინეტი
მიხეილ გედევანიშვილისა

იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთ 6—7 ს.-მდე ყორღანოვის ქუჩაზე (ვერაზე) საკუთარი სახლი № 20. ტელეფონი 791.

ავადმყოფთათვის არის ერთი კრაოტი.

ექიმი
ა. ნ. დიასამიძე

მიიღებს ავადმყოფებს: სიფილისის, კანის და ვენერიულის ყოველ დღე დილის 9—11-მდე და საღამოს 5—7-მდე, გარდა კვირა საღამოსი. ლორისმელიქოვის და ბარონის ქუჩების კუთხე, მესხიშვილის სახლი, ფოსტის პირდაპირ № 8. (წლ.)

ტფილისი, 15 თებერვალი.

ბაქიობა და „პოლიტიკა“.

გაზეთ „ტიფ. ლისტოკში“ ერთი საინტერესო და, ასე ვთქვათ, სანიმუშო წერილია დაბეჭდილი ბ-ნის ა. ი. ვერმიშევისა. წერილს სათაურიც საკმაოდ მყვირალა აქვს: „სომხები—ექსპლოატატორები?“ ავტორი ამბობს, სომეხ-თათართა შეტაკებას—ეჭვს გარეშეა, ის პირი ჰკვებავდა, ვითომც სომხები ექსპლოატატორები იყვნენ და ვითომც ამიტომ იმის მეზობლად მცხოვრებ ერების გულში სომხებისადმი კრუ სიძულვილი არსებობდესო. ბ-ნი ვერმიშევი სტატისტიკის ნიადაგზე ეკამათება 1897 წლის აღწერის კომისიის ერთ-ერთს რედაქტორს, ბრიუნმანს, რომელსაც გამოუანგარიშნია, რომ მხოლოდ ნახევარზე ნაკლები (48%) სომხის ხალხისა მისდევს სასოფლო მეურნეობას და აქედან დაუსკვნია, რომ ნახევარზე მეტი წილი სომხებისა ექსპლოატაციით ცხოვრობსო. ბ-ნს ვერმიშევს ბრიუნმანის ანგარიში ჭკუაში არ მოსდის და ამბობს, რომ უფროსმა სტატისტიკოსმა პატკანოვმა სულ სხვა დასკვნა გამოიყვანა ციფრებიდანო: პატკანოვის ანგარიშით ოთხი მეხუთედი სომხებისა (70%) მეურნეობას მისდევსო.

ბ-ნს ვერმიშევს ჰგონია, რომ პატკანოვი მართალია, ბრიუნმანი კი სტყუის, მაგრამ თუნდაც ბრიუნმანი მართალი იყოს, მაინც ვერმიშევის აზრით შემცდარია დასკვნა, ვითომც სომხის ხალხი ექსპლოატატორთა სიაში იყოს ჩასაწერი. იმავე ბრიუნმანის ანგარიშით, დასძენს ბ-ნი ვერმიშევი, შვედების მხოლოდ 35,27% მისდევს სოფლის მეურნეობას და ბრიუნმანს ეს 35 პროცენტი საკმარის ციფრად მიაჩნია იმისთვის, რომ ექსპლოატატორთა სიაში არ ჩარიცხოს შვედები, სომხებს-კი 48 პროცენტიც არა ჰშველისო.

ჩვენის ფიქრით, ამგვარს კამათს არაფერი არა აქვს საერთო მეცნიერულ სტატისტიკასთან და ამ მხრივ ბ-ნის ვერმიშევის წერილი მაგრე რიგად საინტერესოდ სრულიადაც არ მიგვაჩნია. ჩვენის აზრით, ბევრად უფრო საინტერესოა შემდეგი ადგილი ბ-ნის ვერმიშევის წერილიდან:

ექსპლოატაცია კი არაა მიზეზი, რომ სომხები მათს მეზობლებს არ უყვართ, ამისი მიზეზი სომხების მეოჯახეობაა, იმათი კულტუროსნობაა, იმათი ნიჭია სიმდიდრის მოგროვებისა და პროგრესისა ადვილად შეთვისებისა. როცა ინჟინერმა ჰასსეკმა ბათუმში თავის მექანიურ ქარხანაში დაიწყო გუთნე ის და სხვა იაფ-ფასიანი სამეურნეო იარაღების მზადება გურიაში, იმერეთში და განათლებულ საქართველოს სხვა ადგილებში გასასაღებლად, ამ იარაღებს უმთავრესად განჯის და ერევნის შეძლებული სომეხი გლეხობა ყიდულობდა და არა განათლებული, მაგრამ ღარიბი ქართველობა.

ტყუილად-კი არ უწოდებენ ევროპიელი მწერლები სომხებს ცივილიზაციის და პროგრესის ავანგარდს აზიაში. ეს „ავანგარდობაა“ რომ აიძულებს სომხებს თავის ზურგით ზიდონ ცივილიზაციის ტვირთი და საკუთარის სისხლით რწყონ ველური ადგილები, რათა ამ სისხლის ნაიუსთობაზე ამოსული ყანა მოიმკოს რუსეთის მეფობლობამ შემდეგში, როგორც კულტურის და ცივილიზაციის ნაყოფი. არ შეჰფერის რუსეთის მთავრობას, რომ იგი ხელს უწყობდეს კავკასიის ველურ ხალხებს, რათა წაათამამოს ისინი „სომხების სისხლის გამოსაშვებად“, რუსეთის მთავრობისთვის ბევრად უმჯობესია დაახლოვება კულტურულ ერებისა..

ჩვენ ვეთანხმებით ბ-ნს ვერმიშევს, რომ მთავრობას არ შეჰფერის სომხეთა სისხლის გამოსაშვებად ბნელი ხალხის წაქეზება, მაგრამ არა გვგონია ამ აზრის დასაცველად საჭირო იყოს სომხების წრეს გადაცილებული ქება-დიდება, უნიადაგო ტრაბახი და კავკასიის სხვა ერების ღირსების შელახვა და შეურაცხყოფა. მით უმეტეს არა გვგონია საჭირო იყოს ისეთ ყალბი შეხედულების წამოყენება, ვითომც სომხები სძულდეთ იმის მეზობლებს. ურიცხვი ადგილი შეგვიძლიან დავასახელოთ, სადაც სომხები სხვა ერებთან ერთად მოსახლეობენ ერთს ქალაქში ან ერთს სოფელში, მაგრამ სომხებს იქ სხვა ერები არა სძულთ და ამ სხვა ერებს კიდევ სომხები; პირიქით, ისეთის თანხმობით, ისეთის მეგობრულის კავშირით არიან სომხები და სხვა ერები შეკრული ერთმანეთთან, რომ ეკკლესიის გარეითად არც-კი არაფერში სჩანს მათი ეროვნული სხვადასხვაობა.

ბ-ნი ვერმიშევი რომ მართალი იყოს, სომხები რომ იმის მეზობლებს მართლა სძულდეთ, მაშინ უეჭველია სომხების შეტაკებას სხვა ერებთან ვერც რუსეთის მთავრობა აგვაცილებდა თავიდან და ვერც-არავინ სხვა. მაგრამ სცდება და სტყუის ბ-ნი ვერმიშევი, ეროვნული სიძულვილი კავკასიის ხალხთა თვისება არ არის; ეს სიძულვილი მხოლოდ განძრახ ან შეუგნებლობით ითესება ერთის მხრივ კავკასიის ერთა მტრებისაგან და მეორის მხრივ ვიწრო შუბლიან პუბლიცისტებისაგან, რომელნიც, ბ-ნ ვერმიშევსავით ერთ-ერთ ერს კულტუროსნობის დიპლომს აძლევენ ცათამდე ამაღლებენ, სხვა ერების თავმოყვარეობას კი ფეხით სრესენ და მტრობას უღვიძებენ გულში.

ათჯერ და ასჯერ მეტად სტყუის ბ-ნი ვერმიშევი, სტყუის კავკასიის ერთა წინაშე, სტყუის პუბლიცისტის მოვალეობის წინაშე, როდესაც თავმომწონედ გაიძახის, სომხებისადმი სიძულვილი მეზობელ ერების გულში სომეხთა კულტუროსნობამ, მათმა ცივილიზატორულმა ავანგარდობამ აანთოვო. კავკასიის ერები კულტურის და ცივილიზაციის მტრები არ არიან, კულტურისა და ცივილიზაციისთვის ისინი არც სომხებს და არც არავის სხვას არ შეიძულებენ; კიდევ ამაზედ მეტად სტყუის ბ-ნი ვერმიშევი, როდესაც სომხებს და ქართველებს უპირისპირებს ერთი-მეორეს და ირონიულად იხსენიებს „განათლებულ საქართველოს“. ჩვენ არ ვამბობთ, რომ ბ-ნი ვერმიშევი განძრახ იქცეოდეს ასე უტაქტოდ და უსამართლოდ, არ ვამბობთ, რომ იმას გულში ბოროტი აზრები ჰქონდეს, მაგრამ მედიდურობა და ბაქიაობა ყოველთვის ბოროტების თესლი ყოფილა და არა სიკეთისა, კულტურისა.

„ტიფლის. ლისტოკის“ იმავ ნომერში, სადაც ბ-ნის ვერმიშევის წერილია დაბეჭდილი, ამ გაზეთის რედაქციას გადმოუთარგმნია სომხურ ჟურნალ „ლუმადან“ ბ-ნის ენგიბარიანის წერილის ნაწილი. ბ-ნი ენგიბარიანი სომეხთა ავანგარდობაზე მსჯელობს, მაგრამ ცოტა სხვა მხრივ უვლის საგანს:

თუ ჩვენ დარწმუნებულნი არა ვართ, რომ ისეთი ახალი წესები დამყარდებათ, სწერს ბ-ნი ენგიბარიანი, რომლებიც ჩვენს ნაციონალურს ცხოვრებას უზრუნველ ჰყოფენ, ამ შემთხვევაში ჩვენ არ უნდა შევასუსტოთ ჩვენი თავი უგონო ოცნებათა მიმდევრობით და მხოლოდ თავის დაცვას უნდა შევუდგეთ. ამიტომ ჩვენი ინტერესი არ მოითხოვს ხელი შევუშალოთ რუსეთის ეხლანდელ მთავრობას, მაგრამ უფრო ნაკლები ინტერესი გვაქვს, ღონე დავხარჯოთ და ამ მთავრობის ავანგარდად შევიქნეთ. აი, როგორი უნდა იყოს ჩვენი ნაციონალ-პოლიტიკური ტაქტიკა და იდეალი.

ჩვენ გვგონია, რომ ბ-ნი ენგიბარიანი ალალის გულით ურჩევს სომხებს პოლიტიკურ ოპპორტუნიზმს, ჩვენ ვიცით, რომ სომხებმა სწორედ ეს ოპპორტუნისტული ტაქტიკა და იდეალი გაიღმერთეს, მაგრამ როგორ შევათანხმოთ ეს ტაქტიკა ბ-ნის ენგიბარიანისა და ბ-ნის ვერმიშევისაგან ხოტბა შესხმული ავანგარდობა, რომელიც სომხებს სისხლით არწყევინებს მთელს აზიას. ნუ თუ ეს ოპპორტუნისტულ ტაქტიკის ერთ-ერთი ნაბიჯია? ნუ თუ ბ-ნის ვერმიშევის მედიდურობა და მოწოდება რუსეთის მთავრობისა სომხებთან და არა კავკასიის „ველურ ერებთან“ კავშირის დასამყარებლად ბ-ნის ენგიბარიანის რეცეპტით ჰხდება? საამური არ არის, მაგრამ ჩვენ სხვაფრივ ვერ მოგვიხერხებია ბ-ნის ვერმიშევისა და ენგიბარიანის შერიგება.

პარტიები რუსეთში

(დასასრული *)

III რესპუბლიკის მომხრენი

რესპუბლიკის მომხრენიც, როგორც ის წინანდელი ჯგუფი, სამ ნაწილად იყოფა: 1) მემარჯვენე ნაწილში არიან რადიკალები, 2) ცენტრს შეადგენს დამოუკიდებელ მუშათა პარტია და 3) მემარცხენეთ ეკუთვნიან: ა) სოციალდემოკრატები და ბ) სოციალისტ-რევოლიუციონერები.

1) რადიკალური პარტია შესდგა იმ უკიდურეს ელემენტებიდან, რომელნიც კონსტ. დემოკრატების პარტიას დაშორდა. რადიკალები იგივე კონსტ.-დემოკრატები არიან, მაგრამ უფრო გარკვეული სოციალ-პოლიტიკური იდეალები აქვთ. მათ მოძღვრების დედა-აზრი ამ სიტყვებით გამოიხატება: რუსეთში არ არის არც მძლავრი არისტოკრატია, არც მძლავრი ბურჟუაზია; ის არის ქვეყანა გლეხთა, წვრილ მესაკუთრეთა და წვრილ კაპიტალისტთა. საჭიროა ისეთი აგრარული და ეკონომიურ-ფინანსიური რეფორმები, რომელნიც ერთის მხრით ეკონომიურად გააღონიერებენ მშრომელ ხალხს, მეორეს მხრით თანდათან მოგვიახლოვებენ თანამედროვე სოციალურ წესწყობილების მშვიდობიან გარდაქმნას. პოლიტიკური უფლება-კი ეხლავ უნდა გადვიდეს ხალხის ხელში და, რადგან რუსეთის იმპერია სხვა და სხვა ერებისაგან შესდგება, უნდა დაარსდეს ფედერატიულ-დემოკრატიული რესპუბლიკა—რუსეთის შეერთებული შტატები, ერთის პალატით თითოეულ შტატისათვის და რეფერენდუმით. ამ პარტიის აზრების გამომთქმელი იყო გაზეთი „რადიკალ“, მაგრამ დაიხურა; თანაუგრძნობს გაზეთი „რუს“. პარტია ჯერ ერთობ მცირე რიცხვოვანია და სუსტი; თანაუგრძნობს უკიდურეს პირტიებს, ხოლო არჩევნებში დახმარებას უპირებს კონსტ.-დემ. პარტიას.

2) რადიკალთა და სოციალისტთა შორის შუა ადგილი უჭირავს ეგრედ წოდებულს „მუშათა დამოუკიდებელს პარტიას“. ეს ის მუშებია, რომელნიც სარევოლიუციო სოციალისტურს პარტიებს ჩამოშორდნენ და ახალ გზის გაკვლევას ფიქრობენ. ჯერჯერობით ვერც გარკვეული პროგრამა აქვთ, ვერც გავლენა მოუპოვიათ მუშათა ფართო წრეებში. პირიქით, მომხრეებს უფრო იმ ელემენტთა შორის ჰპოულობენ, რომელნიც წინადაც გაურბოდნენ პოლიტიკურს ბრძოლას და თავის მოქმედებას ზღუდავდნენ ეკონომიურ მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის ბრძოლით თანამედროვე სოციალურს პირობებში ამ პარტიაში რამდენიმე ჯგუფია სახელწოდებით—გაპონოვცები, უშაკოვცები, „ქრისტიან-სოციალისტები“ და სხვა. მოკლედ რომ მოვსჭრათ, მათი დევიზი შემდეგია: მუშებმა თავის თავს თვითონ უნდა უშველონ; სოციალისტური წესწყობილება მშვიდობიანის გზით დამყარდება და ამიტომ ჩვენ არ ვემხრობით არც სოც.-დემ., არც სოც.-რევ.-ებს. ჩვენ ვებრძვით კაპიტალისტებს და თანამედროვე ბურჟუაზიულ მთავრობას; ჩვენი ტაქტიკაა—პროპაგანდა და პროფესიონალურ კავშირების დაარსება. როცა მთელის მსოფლიოს მუშები პროფესიონალურად შეკავშირდებიან და ერთმანეთში ეს კავშირები საერთო შეთანხმებას მოახდენენ, შესაძლებელი გახდება სოციალურ წესწყობილების გარდაქმნა მშვიდობიანის გზით. დღევანდელ მომენტისათვის ეს პარტია საჭიროდ სთვლის დამფუძნებელ კრების მოწვევას საყოველთაო, პირდაპ., თანასწ. და ფარულის კენჭის ყრით; და, თუმცა რესპუბლიკის მომხრენი არიან, ამბობენ: თუ დამფუძნებელი კრება საკონსტიტუციო მონარქიას არჩევს, ჩვენი პარტია წინააღმდეგი არ იქნებაო.

3) უკიდურეს მემარცხენეთ, როგორც ვთქვით, შეადგენენ: ა) სოციალ-დემოკრატები და ბ) სოციალისტ-რევოლიუციონერები. აღვნუსხოთ მოკლედ მათი მისწრაფებანი.

ა) სოც.-დემოკრატიული მუშათა პარტია (ორი ფრაქცია—„ბოლშევიკ“-ები და „მენშევიკ“-ები დღეს შეერთებულნი არიან) ძლიერი სარევოლიუციო პარტიაა, რომელიც ხელმძღვანელობს მუშათა უმრავლესობას. მოძღვრების დედა აზრი: საზოგადოებრივ-საეკონომიო ურთი-ერთობათა განვითარების პროცესი ემორჩილება შეურყეველ კანონს და ახასიათებს კაცობრიობის ისტორიის მსვლელობას; საწარმოვო ძალთა ურთიერთობა საფუძველია მთელის ყოფა-ცხოვრებისა, გამოიხატება კლასთა ბრძოლაში, რომელსაც მივყავართ სოციალიზმის გამარჯვებისაკენ. თანამედროვე კაპიტალისტური წესწყობილება იმ წინააღმდეგობით ირღვევა, რომელიც თან სდევს (внутр. противорѣчіе) და ახასიათებს შემდეგ გარემოებით: 1) წარმოება (მუშა) დაშორებულია საწარმოვო იარაღისაგან, 2) თითოეული საწარმოვო საქმე მოწყობილია, ცალკე ორგანიზაცია აქვს, ხოლო მთელი წარმოება, მთელი მეურნეობა მოუწყობელია (დეზორგანიზაცია), 3) თან სდევს დროგამოშვებითი კრიზისები და იზრდება პაუპერიზმი; ხდება კაპიტალის კონცენტრაცია და ამასთან ერთად იზრდება და მრავლდება პროლეტარიატი; ბოლოს ეს პროცესსი გაარღვევს კაპიტალისტურ ფორმას, დადგება პროლეტარიატის დიქტატურა, საწარმოვო იარაღები გასაზოგადოებრივდება, მოისპობა კლასთა ბრძოლა და გამეფდება სოციალიზმი. ამ პროცესსის სრულს განვითარებამდე პარტიას სადღეისო პროგრამა აქვს: პოლიტიკური—დემოკრატიული რესპუბლიკა და საოლქო თვითმმართველობა,

---

*) იხ. „ცნ. ფურც.“ № 3002.

ეკონომიური—მუშათა დასაცველ კანონების გაფართოება (8 საათის სამუშაო დღე და სხვა); ამას უნდა დაუმატოთ, რომ ბოლო დროს ძირითად აგრარულ რეფორმის საჭიროებაც აღიარეს სადღეისო საქმედ. ტაქტიკა—რევოლიუციონური. 17 ოქტომბრის მანიფესტის შემდეგ ახალი მოქმედება დაიწყეს, მაგრამ ბოლოს დროის რეაქციამ ისევ არა ლეგალურს ფარგალში მოამწყვდია; გაზეთები („ნოვ. ჟიზნ.“, „ნაჩალო“, „ბორბა“) დახურეს.

ბ) სოც.-რევოლიუციონერები, ძველი „ნაროდოვოლც“-ები ხელმძღვანელობენ ზოგან ქალაქის მუშათა მოძრაობას (ბოლოს დროს თავისი გავლენა თვალსაჩინოდ გააფართოვეს) და ზოგგან სოფლის ხალხის მოძრაობას. მიმდევარნი არიან სარევოლიუციო სოციალიზმისა. სოციალიზმს მარტო პროლეტარიატი კი არ განახორციელებსო, არამედ სოფლის გლეხიც, რომლის დიდი უმრავლესობა უფრო მუშაა საწარმოვო იარაღისაგან დაშორებული, ვიდრე მესაკუთრეო. მთელის ამ მშრომელ ხალხის განთავისუფლება და სოციალისტურ წესწყობილების დამყარება უნდა მოხდეს საერთაშორისო სოციალურ რევოლიუციით, რომელიც მზადდება ობიექტიურადაც (კაპიტალიზმის განვითარება და პაუპერიზმის ზრდა) და სუბიექტიურადაც (სოციალისტურ იდეალის ქადაგებითა და გავრცელებით). ისტორიული პროცესი თავის თავად ვერ მიიყვანს კაცობრიობას კომუნიზმის განხორციელებამდე; საჭიროა მწყობრ ძალთა ჩარევა საზოგადოებრივ ევოლიუციაში და, როცა ნიადაგი საკმაოდ მომზადდება, მშრომელ ხალხის-მიერ სოციალისტურ რევოლიუციის მოხდენა, საწარმოვო იარაღთა დაპყრობა და გასაზოგადოებრივობა ძალით, მაშინ მშრომელი ხალხი, იდეიურად მომზადებული, განახორციელებს ეკონომიურს თანასწორობას და სრულს პოლიტიკურს თავისუფლებას. სადღეისოდ-კი საჭიროა: პოლიტიკურად—რუსეთის გარდაქმნა ფედერატიულ რესპუბლიკად, ეკონომიურად-კი—მიწის სოციალიზაცია და მუშათა კანონმდებლობის გაფართოება (8 საათის სამუშაო დღე, მუშის ხელფასის მინიმუმის დაწესება, მუშის მონაწილეობა კაპიტალისტის მოგებაში და სხვა). ტაქტიკა—რევოლიუციონური. მიმართულებას თანაუგრძნობდნენ გაზეთები „ნაში დნი“, „სინ ოტეჩ.“, ჟურნალი „რუსკ. ბოგატსტვო“, მაგრამ დღეს ყველა დახურულია.

დასავლეთ საქართველოში

რაჭა-ლეჩხუმი. მექვენის და ალპანის ამბები უკვე აწერილი იყო „ცნ. ფურ.“-ში. ლეჩხუმში ჯარი ცაგერამდე მივიდა. თუმცა ხალხი ყველგან პურ-მარილით ჰხვდებოდა და მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებასაც ჰპირდებოდა, მაგრამ აწიოკებას და აკლებას მაინც ვერ ასცდა. ცაგერში რამოდენიმე სახლი გადაუწვავთ და, როგორც ამბობენ, ერიში თვით პატრონიც გადაბუგულა. ამის შემდეგ ჯარის ერთი ნაწილი ცაგერში დაბინავდა, ხოლო მეორე რაჭისაკენ გამობრუნდა. სოფელ ახალქალაში გადასწვეს თავ. ლევან დადეშქელიანის სიმამრის თავ. გრიგოლ გელოვანის სახლი და ამ გვარად მოხუცი თ-დი გრიგოლი უსახლკაროდ დარჩა. ახალქალას კიდევ დასწვეს სახლები ექიმის დიმიტრი ახვლედიანისა და ალექსი გელოვანისა. შემდეგ ჯარი ჭყვიშს ეწვია, მათის ანგარიშით, ამ მთავარ ბუდეს ლეჩხუმის არეულობისას. ჭყვიშში დასწვეს ათამდე სახლი, მათ რიცხვში გლეხის გასპარია ცხვედიანისა, იმიტომ, რომ ერთ ყაზახს ძაღლმა უკბინა, ხოლო სოლომანა კენჭაძისა კი სხვისა ეგონათ და შეცდომა მხოლოდ მაშინ გაიგეს, როცა სოლომანას სახლისა ნასახი აღარ იყო. აქ დააპატიმრეს რამდენიმე გლეხი, მათ შორის ეფრემა ფრუიძე, რომელსაც აგიტატორობას სწამებენ.

ჭყვიშის საზოგადოებიდან ჯარი რაჭის მაზრაში გადავიდა. სოფელ ტოლას ერთი სახლი ხარბაზნით დაანგრია, ხოლო სოფელ ხვანჭკარას კი 47-მდე სახლი დასწვა. ერთ სახლში, როგორც ამბობენ, დაბმულ გოჯის გამოყვანა ვერ მოუსწვრიათ და საცოდავი სახლში გამომწვარა. ცეცხლი მოუკიდეს თავად-აზნაურთა წინამძღოლის ყიფიანის სახლსაც, მაგრამ შემდეგ, რაღაც მოსაზრებით, ჩააქრეს. ხვანჭკარის განადგურების შემდეგ ჯარი პირდაპირ დაბა ონისაკენ გაემართა.

ლეჩხუმის მხრეს დარჩა ჯერ-ჯერობით სვანეთი, სადაც გზები შეკრულია და ჯარი ვერ შედის. ამბობენ, ცნობილ ზუგიერაებს მაინც მოუხერხებიათ ვითომ იქ დამალულ ლევან დადეშქელიანის დასაჭერად ყაზახების შეყვანა. იმასაც ამბობენ, რომ დაბრუნებულმა ყაზახებმა დააპატიმრეს დადეშქელიანის ცოლიო.

რაჭაში დაწვრილებით არ ვიცით რა მოხდა, ვიცით მხოლოდ, რომ ნიკორწმინდის საზოგადოებაში რამდენიმე სახლი გადასწვეს. ნიკორწმინდას 6 თებერვალს ეწვია ორი სოტნა ყაზახი. ამ ამბავმა თავზარი დასცა დიდსა და პატარას. შეშინებული ქალები და ბავშვები გასახიზნავად გარბოდნენ თოვლით შემოსილ ტყეებში. მთლად დაიცალა ახლო-მახლო სოფლები. შეუდგნენ ყაზახები საქმეს. იჭერდნენ შინაურ ფრინველობას... ამ საღამოსვე გასჩხრიკეს სასო და ემილე კობახიძის სახლები, აგრეთვე ერმინესი. ორივეს ცეცხლი წაუკიდეს. სოფელ ხოტევში გადასწვეს ოსია გორდეზიანისა და მიხა ჭიჭინაძის სახლ კარი. ესეც არ იკმარეს. უფროსმა გამოგვიცხადა, უკეთუ მქადაგებელს და თოფებს არ წარმოგვიდგენთ, იმ შემთხვევაში ერთიანად გაგანადგურებთო.

ზუგდიდი. ამ თვის დამდეგს ს. ჭკადუაშს აფიცრის მეთაურობით, ეწვია „დამამშვიდებელი რაზმი“ ყაზახებისა. „დამშვიდება“ მით დაიწყეს, რომ მღვ. ალშიბაიას სახლს ცეცხლის წაკიდება დაუპირეს. ქ. ქუთაისში დაჭრილს ზუგდიდის მაზრის უფროსს კეღლოვს ეთქვა გამომძიებლისათვის, მე დამჭრა ვასო ალშიბაიამო. ვასო შვილია მღვ. ალშიბაიასი. რაზმის აფიცერთან მივიდა ვასო და უთხრა: „სახლ-კარი, რომლის განადგურებაც თქვენა გსურთ, ეკუთვნის ჩემ მოხუც მშობლებს და ჩემ წილად ერთი ფიცარიც არ მერგებაო. თუ დანაშაული მიმიძღვის ვისმეს წინაშე, მე მზად ვარ პასუხი ვაგოო“. დიდის დავიდარაბის შემდეგ აფიცერი მოლბა და სახლის დაწვაზე ხელი აიღეს, ხოლო ალშიბაია დაატუსაღა და ზუგდიდში წასაყვანად გაამზადა. ეხლა გაიარეს თუ არა, წინ მიმავალ ვასოს უკანიდან ყაზახმა თოფი ესროლა და იქვე დედის თვალწინ გააგორა. ამის შემდეგ რაზმი ზუგდიდის მაგივრად გუშნი დადიანის სახლისაკენ წავიდა. თუმცა მუშნი შინ არ დაჰხვდა, მაგრამ სახლ-კარი მაინც ადგილზე იყო და მუშნი მით დასაჯეს, რომ სახლ-კარი ერთიანად გადაუბუგეს.

ქართლში

ს. ტეზერი. ჩვენში მშვიდობიანობა არ დარღვეულა იქამდის, ვიდრე ხაშურის ბაზარი არ გადასწვეს. ამან-კი ხალხი ფიქრში ჩააგდო და ყოველ წამს ველოდით, რომ ხაშურის ბედი ჩვენ სოფელსაც ეწევა. ჯერ მწვავე გრძნობა შიშისა ხაშურის ბაზრის გადაწვის გამო გავლილი არ იყო, რომ ჩვენ მეზობლად, სოფელ ბელეთში, ყაზახები გაჩნდნენ, გადასწვეს რამდენიმე მოსახლე და საბძელი და ამასთან სროლაში ხუთი კაცი შემოაკვდათ, მათ შორის სამი ჭედლიძე ერთი ოჯახიდან.

შიშის ზარმა იმატა. ძილი და მოსვენება არსად იყო. მუდამ წამს მზად ვიყავით, რომ ყაზახის გამოჩენისთანავე გადავკარგულვიყავით და ცოლ-შვილი შეურაცხყოფისაგან გადაგვერჩინა. დღე და ღამე ყარაულები გვეყენა. რაც კი რამ ძვირფასი გვქონდა, ზოგი გადავმალეთ და ზოგიც წასაღებად გავამზადეთ.

დიდი ხანი აღარ გავიდა, და ყაზახებიც გვეწვივნენ. ბინათ ჩვენი სოფელი აირჩიეს. მოსვლისთანავე იარაღი და აგიტაციის მოთავენი გვთხოვეს, მაგრამ რას მივცემდით, რომ პირველი არ გვქონდა და მეორენი სად წავიდნენ ან ვინ იყვნენ, არც მაშინ ვიცოდით და არც ეხლა ვიცით. თითოოროლა ვითომდა საეჭვო სახლი გაჩხრიკეს და ვერაფერი რომ ვერ აღმოაჩინეს, თავი დაგვანებეს და ისე გაატარეს თითქმის ერთი თვე, რომ არავინ შეუწუხებიათ.

სამაგიეროდ სული ამოგვართვეს ზოგიერთა ახალგაზრდა უსაქმო აზნაურებმა, რომელთაც ქეიფისა და ლოთობის მეტი სხვა არაფერი შნო არა აქვთ და რადგან ამ ხელობასაც შეძლება უნდა, ახალგაზრდა რაინდებმა ადვილსა და გაკვლეულ გზებს მიჰმართეს—სადაც ღვინო და სხვა სანოვაგე ეგულებოდათ, ურცხვათ მიჰქონდათ, მეტადრე მაშინ, როცა სახლის პატრონი შინ არ ეგულებოდათ. ასეთი საქმე რაინდებმა დამართეს თავ. ციციშვილს, ვ. ყიფიანის და სხვათა სახლებს. სოფელმა იცის ვინ არიან ეს ვაჟბატონები, მაგრამ ჯერ-ჯერობით ვერა ჰბედავს მათ დასახელებას.

ახალი ამბავი

◆ **ამიერ-კავკასიის რკინის გზა.** რკინის გზის შესახებ ათასი ხმა დადის. როგორც ვიცით, რკინის გზაზე ამ ჟამად სამხედრო წესებია და უფროსებად სამხედრო კაცები არიან. რკინის გზის ახალი უფროსი ინჟ. შაიკევიჩი აგერ ერთი თვეა, რაც ჩამოვიდა, მაგრამ გზა ჯერაც არ ჩაუბარებიათ. განზრახული იყო, შაიკევიჩი დროებით სხვა გზაზე გაეგზავნათ. ეხლა შაიკევიჩს ქაღალდი შეუტანია გადადგომის შესახებ. როგორც გავიგეთ, რკინის გზის უფროსად პოლკ. ნეიგაუზერი დაუმტკიცებიათ. ამბობენ, რომ გზას სრულებით სამხედრო უწყებას გადასცემენო.

◆ **ტფ. გენერალ-გუბერნატორის განკარგულება.** გუშინდელ „კავკაზ“-ში დაბეჭდილია ტფ. გენერალ-გუბერნატორის განკარგულება. ამ განკარგულების ძალით, თავდამსხმელნი და მძარცველნი სამხედრო სამართალში იქნებიან მიცემულნი. იქვე განმარტებულია, რომ სამხედრო კანონის ძალით დამნაშავენი სიკვდილით დაისჯებიანო.

◆ **არჩილ ჯორჯიაშვილი.** საქმე ტფ. მაზრის მცხოვრების არჩილ ჯორჯიაშვილისა, რომელსაც გენერალ გრიაზნოვის მოკვლა ჰბრალდება, უკვე გადაეცა განსახილველად კავკასიის სამხედრო სასამართლოს. საქმის განხილვა დანიშნულია მომავალ კვირაში, თუმცა დღე ჯერ არ არის დანიშნული. ბრალდებულს დაიცავს ნაფიცი ვექილი თავ. იოსებ ბარათაშვილი.

◆ **ზარალის ანაზღაურება.** ამ კვირაში გორის მაზრის უფროსი სტრაჟნიკებითა და ყაზახებით მიდის **ს. ტირძნისში** იმ აზრით, რომ გლეხებს შარშანდელი მოსავალი გადაახდევინოს ადგილობრივ მემამულის სასარგებლოდ. როგორც გავიგეთ, რაოდენობა ამ გადასახადისა შვიდ ასთუმანს აღემატება და რა გზით მოახერხებენ ტირძნისისა და ბროწლეთის მცხოვრებნი ამ ფულის შეტანას, არავინ იცის. ამავე სოფელ ტირძნისში 20 ამ თვეს მიდის კომისია გორის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლის თავ. გ. ბაგრატიონ-დავითიშვილის თავმჯდომარეობით. კომისიამ უნდა შეამოწმოს ზარალი იმ შეფასებასთან, რომელიც მოუხდენია თვით მამულის პატრონს.

◆ **ახალი მუშები.** ბათუმში გემების დასატვირთ-გადმოსატვირთად ახალი არტელი იყო გაგზავნილი. რადგან საქმე კარგად ვერ წავიდა, ბათუმის ძველ მუშებს თავი მოუყრიათ და უთხოვნიათ რკინის გზის მიმოსვლის უფროსისათვის, ისევ ჩვენ ჩაგვაბარეთ საქმე, მხოლოდ ეხლა ბე ასი თუმანის მეტი არა გვაქვს და რასაც დავიმუშავებთ, ყოველ თვე ორმოცდა ათი თუმანი გამოგვირიცხეთ, სანამ ხუთასი თუმანი შესრულდებაო (ხუთასი თუმანია ბედ დანიშნული). ამასთან ატყობინებენ, რომ ათას ფუთს დავიმუშავებთ 3 მ. 25 კ. და დღედა ღამ ვიმუშავებთო.

◆ **გენ. მ. ბაუერის მოწერილობა.** ქართლის დროებით გენერალ-გუბერნატორმა სასინოდო კონტორას შემდეგი მოწერილობა გამოუგზავნა: „როგორც გორის მაზრის უფროსის მიერ შეკრებილ ცნობებიდან სჩანს, სოფ. აწრისხევის მღვდელს გიორგი პარკაძეს, რომელიც დიდ როლს თამაშობდა მთავრობის საწინააღმდეგო მოძრაობაში, დაუნებებია მრევლისთვის თავი და ტფილისში წამოსულა. ერთ ხანად პარკაძე ცხოვრობდა გორში, სადაც ერთ მიტინგზე ქალაქის ხმოსნადაც აარჩიეს. ტფილისიდან მღ. პარკაძე დრო-გამოშვებით ამოდის გორში იმ აზრით, რომ ადგილობრივ ხაზინიდან ხვედრი ფული მიიღოს. მაზრის უფროსისავე მოხსენებით მას გაუხდია უკვე ანაფორა და საერო კაცის ტანთსაცმელს ატარებს“. დასასრულ გენერალი ბაუერი სთხოვს კანტორას აცნობოს, ირიცხება თუ არა თავის თანამდებობაზე ეს მღვდელი.

◆ **სინოდის მოწერილობა.** ქართლ-კახეთის სასინოდო კანტორამ სინოდისაგან შემდეგი მოწერილობა მიიღო: საუფლისწულო მამულების მთავარ გამგეობის უფროსმა თავად კოჩუბეიმ შემდეგი წერილით მომართა სინოდს: აბრაუდიურსოს მღვდელი მ. ვლადიმერ ზნამენსკი საუფლისწულო მამულების მუშათა მიტინგებში დიდ მონაწილეობას იღებდა. მანვე შეუდგინა მუშებს პეტიცია, რომელშიაც მეტად მკაცრი და შეუფერებელი სიტყვებია. გარდა ამისა მ. ზნამენსკი თავის სახლში იღებდა წარმომადგენელთ სოციალ-რევოლიუციონურ პარტიისას და აგრეთვე გლეხთა კრებების აგენტებს. ყველა ამას მ. ზნამენსკი არც უარსა ჰყოფს თავის მოხსენებაში. დასასრულ სინოდი სთხოვს კანტორას გადაიყვანოს მ. ზნამენსკი საუფლისწულო მამულების ეკკლესიიდან სადმე სხვა ალაგას. თავის მხრივ საუფლისწულო გამგეობა შემწეობად სამის თვის ჯამაგირს აძლევს მ. ზნამენსკის.

◆ **ახალი სამამასახლისო.** როგორც გავიგეთ, გორის მაზრის სოფლებ გორის, ნინიევკის, ბუზალის, ბარსის, კოდობინის, პატარა-გუფთის, ანდისის, ახალ-სოფლის და ჯირის მცხოვრებთ შუამდგომლობა აღუძრავთ, აღნიშნული სოფლები ცალკე სამამასახლისოდ გამოიყოს. ეხლა ეს სოფლები ჯავის სამამასახლისოს ეკუთვნიან.

◆ **ოსების დაპატიმრება.** როგორც გვატყობინებენ, დარგკოხში, კავკავისაკენ, 10 თებერვალს დაუპატიმრებიათ ცამეტი კაცი. ყველა ესენი კავკავში გაუგზავნიათ.

◆ **ქუთაისში დაზარალებული სომხები.** „ნორდარ“-ში დაბეჭდილია წერილი ქუთაისიდან. ამ წერილში მოთავსებულია ცნობები იმ უბედურების შესახებ, რომელიც ქუთაისს დაატყდა. სხვა უბედურებათა გარდა მოხსენებულია, რომ სომხთაგან ძლიერ დაზარალდნენ გველიანი (?), ვართაპეტიანი, რაფაელიანცი, ნაზარიანცი, ხოჯიანცი, მამაჯანიანცი, ავსარგოიანცი. ამათ გარდა გაძარცვულ იქმნენ ალიბეგიანცი, ამირაღიანცი და სხვანი.

◆ **ქარელი.** რამდენისამე დღის წინად ქარელს კვლავ ეწვივნენ ყაზახები, რომელთაც, როგორც ეტყობოდათ, წინადვე დანიშნული სახლები გაჩხრიკეს. გუშინ, 13 თებერვალს, ებრაელების უბანს დაეცნენ ვიღაც ავაზაკები ცარცვა-გლეჯის აზრით. ებრაელები დაწიოკდნენ, მაგრამ ვერა გაა-

ფელეტონი

ძაღლი

(მ. გორკისა)

მოლურჯო მწუხრი გამსჭვირვალედ ეფინებოდა ველს. მთელ დღეს მზის სხივისაგან გახურებულ დედა მიწიდან მძიმე, თბილი სუნი ადიოდა. დაღვრემილი წითელი მთვარე ნელად ამოდიოდა, თევზის მაგვარი შავი ღრუბელი უძრავად გაჩერებულიყო ჰორიზონტზე, შუა აპობდა მთვარის დისკოს და მთვარეც სისხლით სავსე თასად მოსჩანდა.

მინდვრით მივდიოდი პატარა მძინარე ქალაქისაკენ და ვხედავდი როგორ თანდათან ჰქრებოდა საყდართა გუმბათებზე ამართულ ჯვართა სხივოსნობა. ჩემდა შესახვედრად ნაზად მოსცურავდა ჩრდილივით არა ხელსაპყრობი რაღაც უცხო ხმა, ხოლო ბნელ, მტვრიან გზაზე მოდიოდა ძაღლი. კუდ დაშვებული, ენა გადმოვარდნილი და თავ მორაცრაცე, პირდაპირ ჩემკენ მოდიოდა; ვხედავდი ხან და ხან როგორ შეიბერტყდა ხოლმე აბურძგნულ თმებს. იმის აუჩქარებელ სიარულში რაღაც სიდინჯე, მზრუნველობა იხატებოდა, თვითონ-კი,—საცოდავს მშიერს, ისე მეჩვენა, რაღაც მტკიცედ და სამუდამოდ გადაეწყვიტა. წყნარად დავუსტვინე და ჩემთან მოვიყვანე. ძაღლი შეკრთა, ჩაჯდა, თავი მაღლა ასწია, თვალებმა მტრულად გაუელვა, კბილების ღრჭიალით დამიღრინა; და როცა მე გავემართე იმისაკენ, ძაღლი მძიმედ ადგა, თვალები უსიცოცხლოდ დააბრიალა, ჩახლეჩილის ხმით დაიყეფა, გზიდან მინდვრისაკენ გადაუხვია და ხელ-ახლა გაუდგა გზას. ჩემსკენ იხედებოდა და ბირკებით გადაჭრელებულ კუდს აქიცინებდა. მივჩერებოდი მიმავალ ძაღლს—მინდვრის გზით მარტოდ მარტო მიდიოდა მწუხრით მოფენილ მყუდრო ველზე პირდაპირ ცივ და ავის მომაწითლებელ მთვარის წითელ შუქზე.

ორისა თუ სამის დღის შემდეგ ხელახლა ვნახე ეს ძაღლი. იგი ღელის პირად, ბუჩქის ძირში ეგდო. თავს გამალებული დასტრიალებდნენ დიდრონი შავი ბუზები, დასცოცავდნენ იმის მკვდარ თვალებზე, უძვრებოდნენ დაღებულ პირში, ბზუოდნენ და ადი-დადიოდნენ იმის ტანზე. კისერ წაწვდენილს ძაღლს ყვითელი კბილები დაეღრჭინა და იმის მიმქრალი, ამოშრეტილი თვალები უძრავად მიშტერებოდნენ ქალაქის მხარეს. ცაზე თეთრად გადაპენტილი ღრუბლის ნაფლეთები დასცურავდნენ, მზის სხივზე ცელქობდნენ, მიწაზე ოდნავი ჩრდილი დასრიალობდა და ეს ცისა და ქვეყნის შუა უსიტყვო საუბარის მსგავსი რამ იყო. ხან და ხან ძაღლის მძორს ღრუბელთა ჩრდილი გადაეფარებოდა და ამ დროს იმის მრისხანე, შორს, ქალაქის მცხოვრებთაკენ გამყურე თვალს მუქი ფერი გადაეკვროდა.

მე ვუთხარი მკვდარ ძაღლს:

— ქება შენდა! შენ ცხოვრებდი ადამიანებთან და განშორდი იმათ, რათა მარტო მომკვდარიყავ. შენ არ ისურვე შეგებრალა ადამიანნი სიცოცხლითვე შენის გახრწნის ნახვით, ამაყი იყავ და არ იკადრე, რომ შენ, მხიარული და კეთილი ძაღლი, ენახე იმათ დაბერებულ, სნეულ, მხდალ მუქთამჭამელად. რომელიც წარსულთა მოგონებით-ღა ცოცხლობს და ხალხთაგან შეურაცხმყოფელ სიბრალულით სულდგმულობს. ქება შენდა იმიტომ, რომ შენ არ წაბილწე ცხოვრება ხრინწიან, ცრუ, ბებრულ თავმოყვარულის ყეფით, ბრიყვულ ბუზღუნით ულონოებით გაბრაზებულ პირუტყვისა, რომელიც სიბერისაგან სულსა ჰლევს.

ქება შენდა!

ჭეშმარიტი ბრძენი თავის დროზე ჰკვდება...

ქება შენდა, ძაღლო, რადგან შენ გაიგე დრო შენის სიკვდილისა და ჩუმად განშორდი ცხოვრებას. ქება შენდა!

როგორ მინდა ესევე ქება შევასხა ნახევრად მკვდარ ადამიანებს, რომელნიც ჩვენს ცხოვრებას შხამავენ თავიანთ გახრწნილების ბინძურის სუნით, როგორ მინდა, რომ შენ გაგიხადონ მაგალითად, სახელოვანო ძაღლო!

ისინი უკვე დიდიხანია სიკვდილს ატარებენ თავიანთ გულით, მაგრამ ჯერ კიდევ ჰკვნესიან, ისევ ლაპარაკობენ, თავზე გვასხამენ მყრალ ბალღამს მკვდარ სულებისას...

ქება შენდა, ძაღლო!

ჯანდიერი.

სასოფლო-მეურნეობა და კაპიტალისტური განვითარება

შემდეგი *)

IV. გერმანიის სოციალდემოკრატიული პარტია.

დავუბრუნდეთ ისევ მარქსისტებს, ანუ, უკეთ რომ ვსთქვათ, გერმანიის სოციალდემოკრატიულ პარტიას. ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც ორი ფრაქცია „ლასსალისტები“ (გერმანიის მუშათა საერთო კავშირი) და „მარქსისტები“ (ეიზენახის პარტია) ერთმანეთს ებრძოდნენ, მარქსისტებმა მოინდომეს, გამორკვეული ოფიციალური სახე მიეცათ აგრარულ საკითხისათვის. ეს მოხდა 1870 წ. „ეიზენახელთა“ კრებაზე შტუტჰარდში. მოხსენება საკითხის შესახებ წარმოადგინა ავგ. ბებელმა. ავტორი იმეორებს დოგმატიურ აზრებს, რომ „წვრილ გლეხებს სპობენ და აძევებენ მსხვილი მიწათ-მოქმედნი, ისე, როგორც წვრილ ხელოსნებს—მსხვილი ფაბრიკანტები“. მეურნეობის რაციონალიზაცია მოითხოვს დიდს კაპიტალს და დიდს მიწას, „ამიტომ თანამედროვე სასოფლო მეურნეობაში მიწის საკუთრება მიისწრაფვის კონცენტრაციისკენ“; ორთქლის მანქანის დროს წვრილი საკუთრება დაძველებული მოვლენაა; მამულის კონცენტრაციის ტენდენცია იწვევს თვით ლენდლორდების (მსხვილ მემამულეების) რიცხვის შემცირებასაც. „ყოველ ექვს გარეშე, რომ ჩვენის ეკონომიურ ურთიერთობის განვითარების აუცილებელი შედეგი ის იქნება, რომ გლეხების დაბალი წრის გაჭირვებული მდგომარეობა გაუარესდება და თანდათან მოისპობა საშუალო გლეხობა“.

ასეთია თეორეტიული მოსაზრებანი ბებელისა სამიწათ-მოქმედო კაპიტალიზმის სასარგებლოდ. მაგრამ ავტორი ლიბკნეხტსავით ღალატობს თავის თეორიას და ურჩევს ამხანაგებს ისეთს პოლიტიკას, რომელიც სრულებით ეწინააღმდეგება ზემო მოყვანილს საფუძვლებს. იგი მიმართავს ზნეობას და იძლევა კითხვას: ნუ თუ ჩვენ პასსიური მაყურებლები უნდა ვიყოთ გლეხების ტანჯვისა და დაღუპვისაო? „ნუ თუ უნდა დავანებოთ გლეხი მის ბუნებრივ ბედს, რომ დაიღუპოს? ისიც იმნაირივე ადამიანია, როგორც ყველა სხვა, იმგვარივე უფლება აქვს არსებობისა, როგორც ამ ქვეყნის ძლიერთა და მდიდრებს; მას აქვს ისეთივე უფლება, როგორც ჩვენ (ე. ი. ინდუსტრიის მუშებს), მოითხოვოს საზოგადოებისაგან, რათა მოისპოს ის დაწესებულებანი, რომელნიც მას არ შეუქნია, რომელთა არსებობაში მას ბრალი არ უდევს, მაგრამ რომელნიც სიცოცხლის ფასად უღირს“.

ამ ზნეობრივ საფუძველზე ამყარებს ბებელი შემდეგ მოთხოვნილებებს გლეხობის სასარგებლოდ: ფიდეიკომისების, საეკლესიო და სამონასტრო მამულების მოსპობას, სახელმწიფო დომენების რეორგანიზაციას, სასოფლო-სამეურნეო განათლების გავრცელებას სოფლის მცხოვრებთა შორის, მიწის ნაციონალიზაციას და იმის გადაცემას სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობათათვის (იმ პირობით კი, რომ მიწა რაციონალურად დამუშავდეს და ნაყოფი განაწილდეს შრომის კვალობაზე). მოხსენების ავტორის წინადადებით შტუტჰარდის კრებამ გამოაცხადა, რომ ის „წინააღმდეგია არსებულ სახელმწიფო და სათემო მიწების კერძო საკუთრებად გადაქცევისა“. შტუტჰარდის კრებამ თითქმის მთლად გაიმეორა ბრიუსელის საერთაშორისო კონგრესის რეზოლუცია, ხოლო ზოგი რამ დაუმატა. ერთის მხრით დაუმატეს მოთხოვნილებანი გლეხების სასარგებლოდ და პროტესტი საზოგადო ადგილების კერძო საკუთრებად გადაქცევის წინააღმდეგ, მეორეს მხრით საზოგადო დასაბუთებაში ისეთი ცვლილება შეიტანეს, რომ უფრო წინ წამოაყენეს ანალოგია სამიწათ-მოქმედო და სამრეწველო ევოლუციას შორის.

ამას იქით აღარ წავიდა დოგმატური მარქსიზმი. ოცდა ხუთი წლის განმავლობაში „ანალოგიური მეთოდი“ (რომ ინდუსტრიის და სასოფლო-მეურნეობის განვითარება მიმდინარეობს ერთის გზით) სრულიად გაბატონებული იყო აგრარულ საკითხში. ამის მიხედვით შემუშავდა პარტიის ოფიციალური პროგრამა ერფურტის პარტეიტაგზე. ეს პროგრამა იწყება ასეთის სიტყვებით: „ბურჟუაზიულ საზოგადოების ეკონომიური განვითარება ბუნებრივის აუცილებლობით მიდის წვრილ წარმოების მოსპობისაკენ“. შემდეგ, „საწარმოვო საშუალებანი ხდება კაპიტალისტების და მსხვილ მემამულეების მცირე რიცხვის მონოპოლიად“, ამასთან ერთად „დანაწილებული წვრილი მეურნეობა ისპობა მსხვილ წარმოებისაგან“. კიდევ:“ საწარმოვო იარაღთა კერძო საკუთრება, რომელიც წინად საშუალება იყო მწარმოებლებისათვის შრომის ნაყოფის უზრუნველსაყოფად, ახლა საშუალებაა იმისათვის, რომ მოხდეს ექსპროპრიაცია გლეხებისა, ხელოსნებისა და წვრილ ვაჭრებისა“. როგორც ვხედავთ, აქ ძველი აზრების განმეორებაა, რომელიც სრულიად უარყოფს აგრარულ განვითარების თავისებურობას. ერფურტის (1891 წ.) პროგრამას საფუძვლად დაედვა კ. კაუტსკის მიერ წარმოდგენილი პროექტი. კრებაზე სხვა პროექტებიც იყო წარდგენილი; სხვათა შორის ერთი (კამპფმეიერისა), რომელიც ცოტაოდენ განსხვავებას ხედავდა სასოფლო მეურნეობის განვითარებაში.

---

*) იხ. „ცნ. ფურ.“ № 3996

ყეს რა ავაზაკებთან, რომელთაც წაუღიათ აც-კი ხელში მოხვედრიათ.

◆ **შტაბის ახალ უფროსის ჩამოსვლა.** უშინ, 14 იანვარს, ტფილისში ჩამოვიდა ხლად დანიშნული შტაბის უფროსი გენე-ალი შატილოვი. სადგურზე დახვდნენ ტაბის უფროსის მოადგილე და სხვანი.

◆ **ახალი საავადმყოფო ქუთაისში.** მა-ჯურიიდან ქუთაისში ჩამოვიდა ექიმი ბაქ-აძე, რომელსაც აზრად აქვს თურმე საა-ადმყოფოს დაარსება თოფურიას საავად-ყოფოს ნაცვლად. ბ-ნ ბაქრაძეს მოლაპარა-ება აქვს ბანკის გამგეობასთან იმ სახლის აქირავების შესახებ, რომელშიაც მოთა-სებული იყო თოფურიას საავადმყოფო და რომელიც ეხლა სადგილ-მამულო ბანკის სა-უთრებას შეადგენს.

◆ **სამხატვრო სასწავლებლის საქმე.** ავკასიის ნამესტნიკის საბჭოს წევრმა გენე-ალმა პუშჩინმა უკვე დაამთავრა გამოძიება ფ. სამხატვრო სასწავლებელში შეწყვე-ილ სწავლის მიზეზებისა. დათხოვნილი მო-აფენი ისევ მიღებულ იქნებიან და სწავ-ლაც ამ მოკლე ხანში განახლდება.

◆ **„ნოვოე-ობოზრენიეს" საქმე.** კონს-იტუციონალ-დემოკრატიულმა პარტიამ დაამთავრა მოლაპარაკება ამ გაზეთის რედა-ქტორ კ. ი. ქალანთაროვთან. საბოლოოდ გა-აწყდა ამ გაზეთის საქმე პაიებზე იქმნას ღებული. თითო პაი ეღირება 60 მანეთად.

◆ **თათრის მოედნის დეპუტაცია.** ქალა-ქის მოურავთან იყვნენ თათრის მოედნის წარმომადგენელნი და თანხმობა განაცხადეს მათის მამულების შესყიდვის გამო ამ მოედ-ნის გასაფართოვებლად.

◆ ტფილისის მაზრის სოფელ მუღანლო-ან თორმეტი წლის წინად გადასახლებიათ რამდენიმე არა კეთილ საიმედო პირი. ეხლახან, როგორც გავიგეთ, აღნიშნულ სოფლელებს უთ-ხოვნიათ მთავრობისთვის ამ პირების დაბრუნება სამშობლოში.

◆ ბორჩალოს მაზრის სოფელ გუნიაკალის მაჰმადიანებს შუამდგომლობა აღუძრავთ, რომ სახელმწიფო სახნავ-სათესი და საძოვარი ადგი-ლები მიეცეთ სადმე სხვა მაზრაში.

◆ ითარგმნება და ამ დღეებში დაიბეჭდება: 1) ერნესტ რენანის ცნობილი თხზულება ცხოვრება იესო ქრისტესი. თარგ. ია ეკალაძისა, გამოცემა გ. გადილისა; 2) „პროგრამა გერმანიის მუშათა პარტიისა", კ. კაუცკისა; 3) „პროფესიონალური კავშირები" შიპელისა; 4) „როგორ იბრძოდნენ გლეხები სიცილიაში".

◆ ქართველ ქალთა საზოგადოების გამგეობამ ქალაქის გამგეობის წინაშე შუამდგომლობა აღძრა 300 მანეთით დახმარების აღმოჩენის შესახებ.

◆ 19 თებერვლისთვის დანიშნულია ტფ. ვაჭართა კრება, რომელზედაც უნდა არჩეულ იქნას ვაჭართა ახალი მამასახლისი, ნაცვლად ბ ნ შადინოვისა, რომელსაც ვადა გაუთავდა.

◆ წყნეთის ქუჩაზე სცხოვრობს ტფ. მოქალაქე იმერლიშვილი, რომელსაც 13 თებერვალს, საღამოს 10 საათზედ, თავს დაეცა ოთხი შეიარაღებული კაცი. უცნობნი შევარდნილან ეზოში, უტაცნიათ ხელი 16 წლის მსახურისთვის და მოუთხოვნიათ შენი ბატონის სახლში შეგვიყვანეო. ეს მალე გაუგიათ ზემო სართულში. ეზოდან ჩაუკეტნიათ კარები, ხოლო ხმაურობა აუტეხნიათ. უცნობნი გაიქცნენ.

◆ ბ ა თ უ მ ი. 12 თებერვალს, ბარცხანის ხიდთან, სახალხო მატარებლის № 5 ქვეშ უცაბედად მოჰყვა მოხუცი მიხეილ სუმინი და ძალზე დაშავდა.

სად. ძეგამი. 13 იანვარს, შუადღის 12 საათზედ, როდესაც სახალხო მატარებელი სადგურში შემოვიდა, ლიანდაგზე მიმავალი ლიანდაგის ოსტატი სალახინი გასრისა.

◆ გუშინ შუა ბაზარში, სარაჯევის ქარვასლაში, ნახეს გვამი დამხრჩვალ კაცისა, რომელიც აღმოჩნდა ერევნის გუბერნიის ეჩმიაძინის მაზრის მცხოვრები, ხელობით მეწაღე, აშაიაკ ადამის ძე ვართანოვი, 45 წლისა.

◆ ტფილისის მესამე გიმნაზიის მოსწავლეების მშრომელთა წრემ გადასწყვიტა მარხვის მეორე კვირას გამართოს წარმოდგენა, რომლის შემოსავალიც გადაიდება გიმნაზიის შეუძლებელ მოსწავლეთა სასარგებლოდ.

◆ დუშეთის სამხედრო ბეგრის საკრებულოს მდივნის დაფქვიაშვილის შესახებ გუბერნატორმა ოფიციალურად მისწერა დუშეთის ჯარის უფროსს პოლკოვნიკ დიკს, მაცნობეო რამდენად მოსახერხებელი იქნება ამ მოხელის სამსახურში დაბრუნებაო ან სამხედრო ბეგრის საქმეს ხომ არა ევნებაო.

◆ 11 თებერვალს, დილის 6 საათზედ, მიხეილის პროსპექტზე, ცეცხლი გაუჩნდა თუმაევის სახლებს. ზარალი 800 მანეთამდეა. სახლი დაზღვეულია.

12 თებერვალს პოლიციის მე-5 ნაწილში მელვინოვის სახლში უეცრად კადაიცვალა ტფილისის მოქალაქე სტეფანე მელიქოვი.

◆ 10 თებერვალს პოლიციის მე-5 ნაწილში, მეჩეთის ქუჩაზე, მეპურე არუთინ აბრამოვიჩთან შევიდა 4 შეიარაღებული კაცი და იარაღი მოითხოვა. როცა უცნობებმა უარი მიიღეს, თვით შეუდგნენ ჩხრეკას, რომლის დროსაც მეპურეს, როგორც თვითონ განაცხადა, კასიდან 400 მან. ამოაცალეს, 20 მანეთად ღირებული საათი და მიიმალნენ. მეპურემ და იქვე მყოფმა მუშებმა პოლიციას გამოუცხადეს, ქართველებმა გაგვძარცვესო.

◆ ლერმონტოვის ქუჩაზე ალექსანდრე ვირაბიანცის სახლში 10 თებერვალს შეპარულან ვიღაც უცნობნი და 177 მანეთის ნივთები წაუღია. ეჭვი ვირაბიანცმა იასიან ფაროხაშვილზე მიიტანა, რომელიც დააპატიმრეს.

◆ 10 თებერვალს პოლიციის მე-6 ნაწილში, ვორონცოვის ქუჩაზე არჩვაძის დუქანში შევიდა ვიღაც უცნობი კაცი და არჩვაძეს ბებუთი მუცელში ჩასცა. დამჭრელი გადაიმალა.

◆ პოლიციის მე-9 ნაწილში ელისაბედის ქუჩაზე მცხოვრებ ეკატერინე სულხანოვის სახლში ვიღაც შეპარულა და კამოდიდან 310 მან. წაუღია. ეჭვი მიიტანეს მსახურ ამბაკო ჯოხაძეზე.

პრესსა

საქართველოს ამბების შესახებ ერთი საყურადღებო წერილია მოთავსებული გაზეთს „ნაშა ჟიზნ"-ში წერილი შეიცავს კერძო ბარათიდან ამოღებულ ცნობებს. რედაქცია გაზეთისა აღნიშნავს, პრესსაში ძალიან ნაკლები და არა სარწმუნო ცნობები იბეჭდება საქართველოს ამბების შესახებ და ჩვენ სიმართლის აღსადგენად კერძო ბარათით ვსარგებლობთ, რომელიც ამ დღეებში მივიღეთო. არ ვიცი, იგრძნობენ თუ არა ტფილისის ვითომდა ლიბერალური რუსული გაზეთები („კავკაზი" და „ტიფლის. ლისტოკი"), მაგრამ კარგი ზნეობრივი გამათრახება კია მათთვის ეს გარემოება. ადგილობრივი რუსული გაზეთები ისე იყრუებენ ყურს საქართველოს ამბების შესახებ, თითქოს მთელი კავკასიის „რევოლიუციონერობა" სომეხ-თათართა შეტაკებაში გამოიხატებოდეს და ის ამბები კი, რაც ან წინად და ან ეხლა საქართველოში ჰხდება, ყურადღების ღირსიც არ იყოს. ამისდა მიუხედავად, სიმართლე მაინც პოულობს გზაკვალს და ოდნავ მაინც ანათებს ბნელეთს. აი, თვით გაზეთს „ნაშა ჟიზნს" რასა სწერენ საქართველოდან:

> არ ვიცი, ჰკითხულობთ თუ არა მანდ აქაურს არა რუსულს გაზეთებს, სადაც საკმაოდ ვრცლად არის მოთხრობილი შემაძრწუნებელი ამბები ქუთაისის გუბერნიის ცხოვრებიდან. მართალი რომ ვთქვათ, აქ არავითარი განსაკუთრებითი აჯანყება არ მომხდარა; მაინც და მაინც აქ იმისი მეასედიც არაფერი მომხდარა, რაც მოხდა მოსკოვში, როსტოვში და სხვაგან. ხალხი არ ეწინააღმდეგება და არც შეუძლიან ეწინააღმდეგოს გენერალ ალიხანოვის „ძლევა-მოსილ" მსვლელობას... პირიქით, ხალხი გადამეტებულის უკიდურესობითაც კი აცხადებს მორჩილებას.— ამისდა მიუხედავად, **გენ. ალიხანოვი გზა-გზა ყველაფერს ცეცხლით და მახვილით იკლებს. გადაწვეს ყველა სამოსახლო ადგილები**; დარჩა მხოლოდ აქა-იქ გაფანტული იმერული სახლები. ქუთაისი იწვის; სცარცვავენ, არბევენ და რის წაღებაც ვერ მოუხერხებიათ, იმას სწვავენ. **მცხოვრებლები დაფრთხნენ ამ გუნდებისაგან, გარბიან მთებში, იხიზნებიან ტყეებში, სადაც მრავალი ბავშვი და დედაკაცი კვდება სიცივისა და შიმშილისაგან**... საშინელება რამ ხდება. სამხედრო დიქტატურა მძვინვარებს და ადგილობრივი უმაღლესი ადმინისტრაციაც კი ვერ ახერხებს იმის შეკავებას... პეტერბურგის გაზეთები კი ათასს სისულელეს სწერან, ვითომც გულგაუტეხავად ეწინააღმდეგებოდნენ და სხვა. ქუთაისიდან ამ ყალბი ცნობების დასარღვევად დეპეშები გაგზავნეს, მაგრამ ზოგი ცენზურამ არ გაუშვა, ზოგიც არ დაიბეჭდა...
>
> **ასეთი საშუალება არ ყოფილა მაშინაც კი, როცა საქართველოს სპარსეთის ლაშქარი შეესევოდა ხოლმე.** რას ფიქრობენ პეტერბურგში ისინი, ვის ხელშიაც ეხლა მმართველობა იმყოფება? **რისთვის სთესენ სიძულვილის თესლს იმ ხალხის გულში, რომელიც ერთგულია რუსეთის სახელმწიფოსი და რუსეთის კულტურისა?** რატომ მომავალზე არა ზრუნავენ? მაგრამ ისინი სხვა რაზედ ფიქრობენ და ზრუნავენ? მთელს რუსეთშიაც ხომ ასეთივე ამბებია. მაგრამ იმათ შესახებ სწერენ მაინც, როგორც რიგია... ეს კი იყო წავიკითხე, რომ ნამესტნიკად ასახელებენ ტრეპოვს, გროდეკოვს და სხვა „ენერგიულ" გენერლებს. თუ „გულკეთილ" გრაფის დროს ასეთი სისასტიკე ჰხდება, რას მოელოდეს კაცი ტრეპოვებისგან?

როგორცა სჩანს, თანდათან სატახტო ქალაქის გაზეთებიც იტყობენ საქართველოში დატრიალებულ გენ. ალიხანოვის გმირობას. ამ დღეებში გაზეთის „ნოვოსტის" ქუთათური კორესპონდენტიც საკმაოდ დაწვრილებით სწერს ქუთაისის ამბების შესახებ, თუმცა ის დასკვნა-კი, რომელიც იმას გამოჰყავს, ჩვენ უსამართლოდ მიგვაჩნია. „ნოვოსტის" კორესპონდენტი აღნიშნავს, გურულები გმირი ხალხია, სიკვდილისა არ ეშინიან, თავგანწირული ბრძოლა შეუძლიანთ, და ამიტომ ფიქრობს, რომ მთავრობამ გურულების „ნაციონალური" ძალა უნდა გამოიყენოს იმპერიის სამფლობელოების გასამაგრებლად შუაგულ აზიაში. გამოდის, რომ გურულებმა ისეთივე როლი უნდა შეასრულონ შუაგულ აზიაში, როგორსაც ეხლა საქართველოში ყაზახები ასრულებენ. „ნოვოსტის" კორესპონდენტს ჰკუა ასთამაშებია და, როგორც ეტყობა, ისეთი ტვინის ლიტინი ასჩენია, რომ გრინგმუტს და სუვორინს თამამად შეუძლიანთ შური ჩაიდონ გულში. გურულების დამამშვენებელი თვისება შეგნება და შეგნებული თავგანწირულება, სამფლობელოების გასამაგრებლად-კი, როგორც რუსეთის ადმინისტრატორებმა მშვენივრად იციან, ასეთი მასალა გამოსადეგი არ არის. ამ მიზნისთვის შეუგნებლობაა საჭირო და არა შეგნება.

საზღვარ-გარედ

რუსეთი და საფრანგეთი. რუსეთ-საფრანგეთის კავშირისა და მეგობრობის შესუსტება ახალი ამბავი არ არის ჩვენის მკითხველისათვის, მაგრამ შესუსტებაც არის და შესუსტებაც: დღეს საუკეთესო რუსული და ფრანგული გაზეთები უკვე კავშირის აგონიაზე ლაპარაკობენ—თხუთმეტის წლის მეგობრობა რუსეთის იმპერიისა და საფრანგეთის რესპუბლიკისა საფლავის კარზე დგასო.

„შორე აღმოსავლეთის ომამდეო, სწერს კარგად ცნობილი კორესპონდენტი ნესვოი, საფრანგეთს სჯეროდა რუსეთის იმპერიის სამხედრო ძლიერება და ყურადღებას არ აქცევდა ამ სახელმწიფოს შინაურ მოუწყობლობას. მაგრამ ომმა და სარევოლიუციო მოძრაობამ თვალი აუხილეს გულით მინდობილსა და მოტყუებულ საფრანგეთის საზოგადოებას.

ფინანსთა მინისტრი კოკოვცევი საკუთარის თვალით დარწმუნდა ამ'ში. დღეს, განსაკუთრებით მოსკოვისა, ბალტიის მხრისა და რუსეთის სხვა ნაწილების დარბევა-აოხრების შემდეგ არა თუ სოციალისტური და სხვა დამოუკიდებელი გაზეთები, ალაპარაკდა რუსოფილური პრესსაც-კი, მაგალითად „ფიგარო", მუდამ გუნდრუკის მკმევი თვითმპყრობელობისა და ბიუროკრატიისა, სადაც არასოდეს უბრალო სიტყვაც-კი არ დაბეჭდილა რუსეთის მთავრობისათვის არა სასიამოვნო. „ფიგარო" დასცინის საფრანგეთის საზოგადოების გულუბრყვილობას, დასცინის საფრანგეთ-რუსეთის კავშირს, რომელიც მხოლოდ საფრანგეთის მოტყუილება იყო და მეტი არაფერი. „15 წელიწადია არსებობს საფრანგეთ-რუსეთის კავშირი და ამ ხნის განმავლობაში შეგვეძლო ნამდვილი წარმოდგენა შეგვედგინა რუსეთის ჯარზედო, განაგრძობს გაზეთი. მართლაც, ზოგმა სამხედრო პირმა, რუსეთში მოგზაურობის შემდეგ, კარგად დაინახეს და აღნიშნეს კიდეც რუსეთის ჯარის სუსტი მხარეები და ნუ თუ საიდუმლოდ უნდა შეგვენახა ეს დაკვირვებანი?!"

სამხედრო დეზორგანიზაციაზე უფრო მნიშვნელოვანად მიაჩნია გაზეთს რუსეთის გარეშე პოლიტიკის სრული უაზრობა. რამდენიმე ხნის წინად „ფიგარო"-მ მოღალატე უწოდა ჟორესს ასეთივე აზრების გამოთქმისათვის და თუ დღეს ეს გაზეთიც-კი ასეთის კილოთი სწერს, ეს იმის ნიშანია, რომ საფრანგეთის მთელი საზოგადოებრივი აზრი წინააღმდეგია რუსეთის მთავრობისა.

გაზეთი „მატენ"-იც ერთგული დამცველი იყო რუსეთის მთავრობისა და მის პოლიტიკისა; ეხლა-კი იგი აღშფოთებული ლაპარაკობს რუსეთის ამბებზე. მთელი საფრანგეთი დარწმუნდა, რომ „რუსეთის მთავრობის მთელ პოლიტიკას შინ და გარეთ მხოლოდ ორი საგანი აქვს—პოლიცია და ფული, რეპრესიები და სესხი, და საფრანგეთის საუკეთესო შვილები აღშფოთებული არიან იმ დამამცირებელ შეგნებისაგან, რომ ერთად-ერთი შედეგი რუსეთ-საფრანგეთის კავშირისა იყო საფრანგეთის მილიარდების გადასვლა რუსეთის ბიუროკრატიის უკონტროლო განკარგულებაში".

ამიტომაც არის, რომ დიდი აგიტაცია გაიმართა მთელ საფრანგეთში, როცა შეიტყეს, რომ რუსეთის მთავრობა ახალ სესხის აღებას აპირებდა. აგიტაციას ეწეოდნენ ყველგან—კრებებსა და მიტინგებზე, საპარლამენტო და საფინანსო წრეებში და ჟურნალ-გაზეთებში. ყველაზედ საყურადღებო „ლა რევიუ"-ს წერილია. წერილში წარმოდგენილია შემაძრწუნებელი სურათი რუსეთის მთავრობის მოქმედებისა. „რუსეთის სამხედრო ძლიერება გატეხილია, ეკონომიური განვითარება შეჩერებულია, სანამ თვითმპყრობელობა იარსებებს... საფრანგეთმა არ უნდა მისცეს ფული თვითმპყრობელობას, თუ არ უნდა დაჰკარგოს წინად გაცემული ფულები... რუსეთის მთავრობისათვის ფულის მიცემა არის დარღვევა საკაცობრიო ინტერესებისა, რადგან ამ სესხით განმტკიცდება საშინელი მტარვალობა მრავალ-მილიონიან ერზე".

ქალაქის საქმეები

13 თებერვალი.

რუსული ანდაზაა, შვიდი ერთს არ მოუცდისო, მაგრამ 13-ს თებერვალს ტფილისის საბჭოში 26 ხმოსანი კარგა ხანს უცდიდა ერთს ხმოსანს, რადგან კრებისთვის უთუოდ საჭიროა 27 ხმოსანი. ამ ოცდა ექვსმა კაცმა იცადა საათ ნახევარს, რის შემდეგაც მოვიდა ხმოსანი მირზოევი და თავმჯდომარემაც კრება დაიწყო.

ხმ. პსაროვმა განაცხადა: ყველამ იცის, რა შეტაკება მოხდა ბორჩალოს მაზრაში თათართა და სომეხთა შორის. ამ შეტაკებამ სოფლებში ბევრი სომეხი ააწიოკა. ბორჩალოში გაგზავნილი იყო ამ საქმის გამოსაძიებლად კაპიტანი დობრჟანსკი. რამდენსამე სოფელს მოუგროვებია 750 მანეთი, გადაუცია კაპიტან დობრჟანსკისთვის და უთხოვნია: ეს ფული დაურიგეთ ტფილისში იმ სომხებს, რომელნიც აქედან გამოიხიზნენ შეტაკების დროსაო. დობრჟანსკიმ ეს მე გადმომცა. რადგან არ ვიცი, სადა სდგანან და ან ვინ არიან გამოხიზნული სომხები, ვთხოვ საბჭოს და ქალაქის გამგეობას ეს ფული დანიშნულებისამებრ დავარიგოთო.

შემდეგ განხილულ იქმნა საჩივარი იოსებ კასცინსკისა. ამ კასცინსკის დოკუმენტებით ჰქონია ტფილისში 108 ოთხ-კუთხი საჟენი მიწა, მას-კი წარუდგენია სახლის გეგმა ქალაქის გამგეობაში დასამტკიცებლად და ამ გეგმაში მოუქცევია 360 საჟენი. გამოძიებით გამორკვეული, რომ იოსებ კასცინსკის ეს მეტი მიწა ჩამოუჭრია ქალაქის ორ ქუჩიდან და დიდი ხანია დაუჩემებია. ქალაქს ვადა გაუშვია და კასცინსკი გამხდარა დიდ ნა-

---

ხოლო 1894 წ. ფრანკფურტის კრებაზე გ. ფოლმარმა გარკვევით და თამამად გამოსთქვა ის, რაც მკრთალად აღნიშნა კამპფმეიერმა. ფოლმარმა უარჰყო დოგმატური, ანალოგიური შეხედულება აგრარულ ევოლიუციის შესახებ. მისის აზრით, სასოფლო მეურნეობაში განსაკუთრებული მოვლენები ხდება. ფოლმარი ამბობს: წინანდელი თეორია გამართლდა მარტო ხალხის გაყვლეფის შესახებ კაპიტალისაგან; რაც შეეხება დანარჩენს, „განვითარება სრულებით არ მიმდინარეობდა ისე, როგორც ამას წინასწარმეტყველობდნენ ჩვენი მიმართულების ადამიანები, რომელთაც აუცილებელ ფაქტად მიაჩნდათ წვრილი მეურნეობის სწრაფი მოსპობა მსხვილის მიერ". თუ გერმანიის ზოგიერთ ადგილებში ვხედავთ მსხვილ მემამულეების ზრდას, ეს დამოკიდებულია სულ გარეშე მიზეზებისაგან და არავითარი კავშირი არა აქვს კაპიტალისტურ სასოფლო მეურნეობის სიძლიერესთან; დავალიანებულია არა მარტო წვრილი, საგლეხო მეურნეობა, უფრო მეტი ვალი აწევთ კისერზე მსხვილ მემამულეებს; დიდი იმედი ჰქონდათ ორთქლის გუთნისა, მაგრამ ეს იმედი არ გამართლდა: საქონლის მოშენებასა, მებაღეობასა, მებოსტნეობასა და სავაჭრო მცენარეების წარმოებაში წვრილ წარმოებას თავისებური უპირატესობა აქვს; მეურნეობის ინტენსიფიკაციას თავისი საზღვარი აქვს, რომლის იქით ის ეწინააღმდეგება ადგილის გაფართოებას. გარდა ამისა საგლეხო მეურნეობის ცხოველმყოფელობა აიხსნება შემდეგითაც: გლეხს ყველაზე უწინარეს თავისი ნაწარმოები უნდა თავის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად; მიწათმოქმედებაში შედარებით მეტი მნიშვნელობა აქვს ცოცხალ შრომას, ვიდრე მექანიკურ ძალას; გლეხს ეხმარება საკუთარი ოჯახი და სხ.—თვითონ საკითხიც წვრილ და მსხვილ მიწათმოქმედების შესახებ სადავო საკითხია. მაინც ეს აშკარაა: „სრულად შეუძლებელია სხვა დარგების შაბლონები, ანალოგიები და ინდუსტრიის ფაქტების დასკვნის მექანიკური გადატანა სასოფლო მეურნეობაში". „აგრარული საკითხი—მეტად რთული საკითხია; სამეურნეო განვითარების კანონები აქ სხვანაირია, ვიდრე ინდუსტრიაში; სასოფლო მეურნეობის საწარმოვო საშუალებათა განსაკუთრებული თვისებები განსაკუთრებულ ხასიათს აძლევს სასოფლო მეურნეობას და ბევრი რამ გვეუბნება იმას, რომ მომავალ სამეურნეო ორგანიზაციას სასოფლო მეურნეობა შეუერთდება საკუთარის, თავისებურის გზით". აქ უნებურად გვაგონდება მეირე მარქსისტის, სოფლის მცხოვრების, მოლკენბურგის სიტყვები, რომელნიც წარმოსთქვა მან გალლეს კრებაზე, რომ გლეხები სრულებით არ არიან გამსჭვალულნი ანტიკოლექტივისტურ ინსტიქტებით, პირიქით დღესაც ვხედავთ სოფელში პრაქტიკულ კოლექტივიზმის დასაწყისს სარწყავ სამუშაოს მოწყობის, მანქანების მოხმარების, სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობათა მოქმედების დროს და სხ.".

ერთ ადგილას ფოლმარი ამბობს: „ყოველ შემთხვევაში, თუ საშუალო და დაბალი საგლეხო მეურნეობა ირღვევა და იშლება, ეს იმიტომ კი არა ხდება, რომ ვითომც მსხვილი მეურნე კონკურენციას უწევდეს წვრილს სამიწათმოქმედო წარმოების შიგნით, არამედ იმიტომ ხდება, რომ მაზედ მოქმედებს ფულის კაპიტალი გარედან". აქ გამოთქმულ აზრს დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი საკითხის გამოსარკვევად. ჩვენ უკვე შევეხეთ ამას, როდესაც ვლაპარაკობდით კაპიტალის ცუდ და კარგ მხარეების შესახებ.—კაპიტალიზმს აქვს თავისი ფორმა და თავისი შინაარსი. ფორმის მხრივ, კაპიტალიზმს აქვს შემდეგი ნიშნები: განივთიერებული, შეგროვილი შრომა, მანქანების, იარაღის, შენობების, ფულის და სხ. სახით, შორდება ცოცხალ შრომას, ხდება მისგან დამოუკიდებელ და განსხვავებულ სოციალურ ძალად და თანდათან ბატონდება, უფრო და უფრო იმორჩილებს შრომას და ითვისებს იმისგან ზედმეტ ღირებულების სახით სულ ახალს და ახალს ღონეს (ძალას). შინაარსის მხრით კი კაპიტალიზმი ყველაზე უწინარეს მსხვილი მრეწველობაა, რომელიც იკავებს წვრილ მრეწველობის ადგილს; ამ მხრივ კაპიტალიზმი ერთი დროებითი ფორმათაგანია მსხვილ მრეწველობისა, რომელიც დამყარებულია გასაზოგადოებურ შრომასა და შეკავშირებულ, შეთანხმებულ მუშაობაზე. აშკარაა, რომ კაპიტალიზმის ფორმა და შინაარსი ერთმანეთს ეწინააღმდეგება. პირველი ანტისოციალისტური, პარაზიტული პრინციპია, მეორე კი წარმოადგენს საზოგადოებრივობის, ძალების ასოციაციის პრინციპს. პირველი შეიძლება განვითარდეს დროებით, მეორეს განვითარება შეუჩერებელია, იგი მუდამ ვითარდება, იცვლის ერთს ფორმას, მეორეს, მერე მესამეს და ასე განუწყვეტლივ. ფორმაც და შინაარსიც ვითარდება, მაგრამ მათი განვითარება თანაბრად არ მიდის. შეიძლება შინაარსმა გაუსწროს და თავიდანაც მოიშოროს ფორმა; მაგრამ შეიძლება, რომ ფორმამ დაიმორჩილოს, მოჰკლას შინაარსი. როდესაც შინაარსია გაძლიერებული, ვხედავთ კაპიტალის კარგს მხარეებს; როცა ფორმაა გაძლიერებული, ვხედავთ კაპიტალის ცუდ მხარეებს. ავიღოთ ისეთი შემთხვევა, როცა პირდაპირი მწარმოებელი ნომინალურად დამოუკიდებელია, ფორმალურად არ არის პროლეტარი, მაგრამ იმისი შემოსავალი იმის წარმოებას გარედ მყოფ კაპიტალისტის ხელში გადადის; როცა, მაგალითად, სასოფლო-სამეურნეო წარმოების შემოსავალი უფრო და უფრო გადადის ექსპლოატატორების ხელში, ის-კი, ვინც მიწაზე მუშაობს, დამოუკიდებელი მეურნეა, არსებითად მხოლოდ მოურავია, ნოქარი, რომელმაც მოგება უნდა გადასცეს თავის ბატონს—კაპიტალისტს. ამ შემთხვევაში კაპიტალი არის ჩარჩული კაპიტალი. საზოგადოდ ჩარჩობას ახასიათებს ის, რომ ჩარჩის ფულს იღებს არა ისეთი ადამიანი, რომელიც სესხით სარგებლობს საწარმოოდ, ზედმეტი ღირებულების მისაღებად, არამედ ისეთი, რომელიც თვითონ არის მუშა-მრეწველი, ან სარგებლობს სესხით პირად მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად და რომელმაც სესხი უნდა გაისტუმროს საკუთარის შრომით ან ქონებიდან.

მარქსი სწერს: „კაპიტალს, რომელიც სარგებელს იძლევა, აქვს ჩარჩულ კაპიტალის ფორმა, როცა სესხი აღებულია არა კაპიტალისტურ წარმოებისათვის; როცა სესხულობენ პირად მოთხოვნილებისათვის; როცა სიმდიდრე ნასესხებია დასაფლანგავად; ან როცა მწარმოებელი არ არის კაპიტალისტური მწარმოებელი, არამედ წვრილი გლეხია*), ხელოსანი და სხვა, ესე იგი სანამ პირდაპირს მწარმოებელს ჯერ კიდევ ეკუთვნის მისი წარმოების პირობები" (III, 494). ჩარჩულ კაპიტალს აქვს თვისება ექსპლოატაციისა, მაგრამ არა წარმოებისა" (III, 492). „იგი არა სცვლის წარმოებას, მაგრამ როგორც პარაზიტი, შეუერთდება მას და აგდებს გაჭირვებულ მდგომარეობაში. სისხლს სწოვს წარმოებას, სიცოცხლეს უსპობს და უფრო და უფრო აუარესებს იმის პირობებს" (419). „ჩარჩული კაპიტალი, როცა ის ფაქტიურად ისაკუთრებს პირდაპირ მწარმოებელის მთელს ზედმეტ შრომას და ამასთან არა სცვლის წარმოების საშუალებას (წესს), როცა შრომის პირობები ეკუთვნის მწარმოებელს და უცვლელად რჩება დანაწილებული წვრილი წარმოება; მაშასადამე, როცა კაპიტალი არ იმორჩილებს პირდაპირ შრომას და არ დაუპირდაპირდება მას, როგორც სამრეწველო კაპიტალი,—ასეთი ჩარჩული კაპიტალი აგდებს წარმოებას გაჭირვებულ მდგომარეობაში, ასუსტებს საწარმოვო ძალებს იმის მაგიერ, რომ გაავითაროს, და ამყარებს ისეთ სამწუხარო მდგომარეობას, როცა შრომის საწარმოვო ძალები არ ვითარდება, როგორც კაპიტალისტურ წარმოებაში" (III 490—491). ასეთ შემთხვევაში ფორმალურად არსებობს კაპიტალიზმი, მაგრამ არ არსებობს მისი შინაარსი—„გასაზოგადოებური" წარმოება. გავიხსენოთ, მაგალითად, რუსეთის მემამულეთა ეკონომიები, სადაც ყველა სამეურნეო სამუშაოს 75% კეთდება გლეხების საქონლითა და ინვენტარით. აშკარაა, რომ აქ გაბატონებულია მხოლოდ კაპიტალისტური ფორმა. ბევრს მარქსისტს უყვარს კაპიტალიზმის შემოქმედების გაზვიადება. ასეთებს ვურჩევთ, ჩაუკვირდნენ მარქსის სიტყვებს: „როგორც მდიდარ მემამულეების გაღატაკება ჩარჩების მიერ, ისე ექსპლოატაცია წვრილ მწარმოებლებისა იწვევს ფულის კაპიტალების შედგენას და შეგროვებას. მაგრამ რამდენად ეს პროცესი სპობს ძველს წარმოებას და იმის მაგიერ იწვევს კაპიტალისტურ წარმოებას,—ეს დამოკიდებულია ისტორიულ განვითარებისა და მისგან წარმოშობილ პირობებისაგან". „მხოლოდ იქ და მაშინ, სადაც და როდესაც არსებობს დანარჩენი პირობებიც კაპიტალისტურ წარმოებისა, ჩარჩობა არის ერთი საშუალებათაგანი ახალი წარმოების შემოსაღებად." (III, 492).

---

*) ამის შემდეგ კაუცკი მაინც ეწინააღმდეგება ფოლმარს, რომელმაც გლეხობა მუშათა კლასს შეუერთა, და ამბობს: „იპოტეკურ ვალის შემწეობით გლეხი ისე ვერ შეიქმნება პროლეტარი, როგორც არაა პროლეტარი ფაბრიკანტიც, რომელიც აწარმოებს თავის საქმეს დაქირავებულ და არა საკუთარ შენობაში"... „ის მაინც ასრულებს მწარმოებლის ფუნქციებს და როგორც ასეთი ეწინააღმდეგება პროლეტარიატს ისე, როგორც ფაბრიკანტი"... კაუცკის არამცთუ ვერ გაუგია მარქსის შეხედულება კაპიტალისტურ და ჩარჩულ სესხის განსხვავების შესახებ, დავიწყებია კიდევ უფრო საანბანო ჭეშმარიტებაც, რომ „სრულებით არაა კაპიტალი ის წვრილი საწარმოვო საშუალებანი, რომელნიც საწარმოო საშუალებანია თვითონ მწარმოებელისათვის და რომელთა ღირებულობა არ მატულობს სხვის შრომის მიმატებით" (კაპ. 1, 616).

ქერ მიწის პატრონი. გამგეობამ ეს გეგმა არ დაამტკიცა, რისთვისაც კასცინსკიმ ეს დადგენილება განასაჩივრა საბჭოში და თანაც დაუმატა, დაამტკიცეთ ჩემი გეგმა იმ პირობით, რომ ორთავე ქუჩებს ექვს-ექვს საჟენს სიგანეს მივცემო. საბჭოს მეტი ჯანი არა ჰქონდა, დაამტკიცა სახლის გეგმა კასცინსკისა, რომელმაც მოხერხებულად ისარგებლა ქალაქის გამგეობის უთაურობით.

საბჭომ დაადგინა ლომბარდის მოსამსახურეს ლისიციანს პენსია დაუნიშნოს 480 მანეთი.

შემდეგ საბჭომ კომისია აირჩია იმის გამოსარკვევად, თუ რამდენი ზარალი მოუვიდა წარსულ წლის ხალხის მოძრაობის და ჯარის მოქმედების გამო. ამ კომისიაში კენჭით არჩეულ იქმნენ: ბაბოვი, ოსტროგორსკი, გრაქუროვი, ალიხანოვი და სოსინი

გამგეობის მოხსენების თანახმად, საბჭომ მნაცაკანის ხიდი ორის წლით იჯარით მისცა გეურქ სალინოვს 3005 მანეთად.

წაკითხულ იქმნა განცხადება პოლიცმეისტრისა. იგი თხოულობს საადრესო სტოლის განახლებას, ამ საგანმა საბჭოში დიდი ბაასი გამოიწვია საბჭო წინააღმდეგი იყო საადრესო სტოლისა. დაადგინეს, აცნობონ ეს პოლიცმეისტერს.

დასასრულ განხილულ იქმნა ტფილისის ფუნიკულერის საზოგადოების გამგეობის თხოვნა ნება მიეცეს გაიყვანოს ელექტრონის ტრამვაი ფუნიკულერის ძირის სადგურამდის. ეს გზა გაივლის გუდოვიჩის ქუჩაზე, გადასჭრის კონსულის ქუჩას (ტუპიკთან), გადასჭრის კუსიკოვის ბაღს პეტრიჩის ქუჩამდის (ტუპიკამდის) და გაჩერდება 30 ნაბიჯზე ფუნიკულერის სადგურამდის. ფასი უნდა იყოს ერთი შაური როგორც თამამშოვის ქარვასლიდან, ისე ამაღლების ქუჩიდან. საბჭომ კამათის შემდეგ შეიწყნარა ეს თხოვნა.

სულ განსახილველი იყო თექვსმეტი საქმე, ხოლო განხილულ იქმნა რვა, რის შემდეგაც ხმოსნები გაფანტულიყვნენ.

რუსეთი

სრულიად რუსეთის სოციალისტ-რევოლიუციონერთა კრება. ამას წინად „პეტერბურგის ვედომოსტებში" და „ვეკ"-ში დაბეჭდილი იყო ცნობები სოციალისტ-რევოლიუციონერთა სრულიად რუსეთის კრების შესახებ. გაზეთებში შემცდარი ცნობა იყო მოთავსებული, ვითომ ეს პარტია 3 ნაწილად გაყოფილიყოს: ერთი, უდიდესი ნაწილი, სოც.-დემოკრატებს შეერთებოდეს, მეორეს ძველი პროგრამმა მიეღოს რამოდენისამე ცვლილებით, ხოლო მესამე სრულიად შეუცვლელად დარჩენილიყოს. ჩვენ ამ ამბავს განგებ არა ვბეჭდავდით, რადგან კერძო ცნობები გვქონდა აღნიშნულ კრების შესახებ და ვიცოდით, რომ ეს ხმები ტყუილი იყო; ამიტომ ველოდით დაწვრილებით ცნობებს. ეხლა გაზეთი „რუს"-ი გვაუწყებს პარტიის ცენტრალურ კომიტეტისაგან მიღებულ ცნობას, რომლიდანაც სჩანს შემდეგი: სოციალ.-რევოლიუციონერთა კრებას კამათის შემდეგ მიუღია პარტიის პროგრამმა ერთხმად. დროებითი საორგანიზაციო წესდება და უფრო საყურადღებო რეზოლიუციები ტაქტიკის შესახებ კრებას მიუღია დიდის უმრავლესობით. ცენტრალურ კომიტეტის წევრები სულ ყველანი ამოურჩევიათ ხმის დიდის უმრავლესობით ($^2/_3$-ზე მეტით). ამიტომ პარტიის გაყოფაზე ლაპარაკიც კი არ იქმნება.

ფინლიანდიის საკითხი. სამხედრო საბჭოში სემიონოვის პოლკის უფროსის მინის თანადასწრებით გადაუწყვეტიათ ფინლიანდიაში ჯარის გაგზავნა. ამბობენ აგრეთვე, რომ ახლო მომავალში ფინლიანდიის გენერალ-გუბერნატორი გერარდი სამსახურიდან გადადგებაო. ამ ხმას უკავშირებენ ფინლიანდიაში ჯარის გაგზავნას. სრულიად წინააღმდეგ ცნობებს იძლევა გაზეთი „ბირჟევ. ვედ."-ი. ცოტა ხნის წინად ამ გაზეთის სიტყვით გადაწყვეტილი იყო, ფინლიანდიაში რამდენისამე პოლკის გაგზავნა, მაგრამ ამ ბოლო დროს მთავრობამ აზრი შეიცვლა. ეხლა საბოლოოდ გადასწყდა, მშვიდობიან პოლიტიკის გზას დაადგეს მთავრობა ფინლიანდიის შესახებ.

გაზეთის დაჭერა. გაზეთ „ნოვაია ჟიზნ"-ის რედაქცია გაუჩხრეკიათ და დაუჭერიათ გამოსაცემად მომზადებული ნომერი. ამის შემდეგ პოლიცია მიიმალა რედაქციაში და, ვინც მოვიდა, ყველა დაიჭირეს.

მუშათა დეპუტატების საბჭოს საქმე. პროკურორის კამიშანსკის სიტყვით, გამორკვეულა, რომ მუშათა დეპუტატების საბჭო შეიარაღებულ აჯანყებას ამზადებდა. ამიტომ საქმის გარჩევამდის დაპატიმრებულ წევრების გამოშვება შეუძლებელია.

პროკურორები უარს აცხადებენ კალიშის პროკურორის თანამდებობაზე. პროკურორებმა და პროკურორის ამხანაგებმა, როგორც გაზ. „ნოვოსტ"-ს გაუგია, უარი განაცხადეს კალიშის ოლქის სასამართლოს პროკურორის ადგილის დაჭერაზე დათხოვნილ სკარიატინის მაგივრად. მიზეზი ის არის, რომ პროკურორების აზრით, მათი თანამდებობა კანონით დამოუკიდებელია და ამიტომ ისინი ვერ დაემორჩილებიან ადგილობრივ გენერალ-გუბერნატორის განკარგულებას.

„რუს ხალხთა კავშირის" წევრთა „მოღვაწეობა". 26 იანვარს, საღამოს 9 საათზე პეტერბურგში, ცვეტკოვის სადგომში, ვიღაცა მისულა და ზარი დაურეკია. ცვეტკოვს კარი გაუღია. უცნობნი რევოლვერებით შევარდნილან. ცვეტკოვს უცვნია ყველანი: ესენი „რუს ხალხთა კავშირის" წევრნი არიანო. მოსულებს სკივრები აუხდევინებიათ, ვითომდა გასაჩხრეკად. როდესაც აკრძალული ვერა უპოვნიათ-რა, წასულან. ახალ ჟანდარმებს თან წაუღიათ ბევრი ნივთი და ფული.

გაზ. „ნოვოსტ"-ის რედაქტორის საქმე. 17 თებერვალს გაირჩევა გაზ. „ნოვ."-ის რედაქტორის ნოტოვიჩის საქმე. საქმის გარჩევაში მონაწილეობას მიიღებენ წოდების წარმომადგენელნიც. ნოტოვიჩმა დაბეჭდა ბებელის სიტყვა, რომელიც შეეხებოდა ხელმწიფეების შეხვედრას 26 ივლისს 1902 წელს რეველში. ამ სიტყვაში, მთავრობის აზრით, შეურაცხყოფაა. ბებელმა ეს სიტყვა წარმოსთქვა გერმანიის რეიხსტაგის კრებაზე. რადგან ბებელის სიტყვაში აწერილი ამბავი არავინ არ იცის რუსეთში, ამიტომ ნოტოვიჩს შუამდგომლობა აღუძრავს მოიწვიონ სასამართლოში, მოწმებად შემდეგი პირნი: გარეშე საქმეთა მინისტრი ლამზდორფი, მთავარ საზღვაო შტაბის უფროსი ვიცე-ადმირალი აველანი, ვიცე-ადმირალი ზ. პ. როჟესტვენსკი, იახტის „შტანდარტი"-ს კაპიტანი, რეველის პორტის უფროსი; გარდა ამისა გერმანიიდან: სახელმწიფო კანცლერი ბიულოვი, რეიხსტაგის პრეზიდენტი და თვით დეპუტატი ბებელი.

მიხაილოვსკის ძეგლი. 20 იანვარს, ცნობილ პუბლიცისტისა და სოციოლოგის ნ. კ. მიხაილოვსკის სიკვდილის წლის თავზე, აკურთხეს პეტერბურგში მისი ძეგლი. ძეგლის გახსნის დროს რამდენიმე სიტყვა წარმოითქვა.

მემამულეთა შუამდგომლობა. კიევის გუბერნიის მემამულენი სთხოვენ გენერალ-გუბერნატორს ან რაზმები მისცეს ან კიდევ არსენალიდან იარაღი დაურიგოს მათი მამულების დასაცავად.

გლეხების ბრძოლა პოლიციასთან. კურსკიდან სწერენ „რუს. ვედ."-ს, რომ მაზრებიდან მოდის ამბები გლეხების მიერ წინააღმდეგობის გაწევის შესახებ ხალხის დაპატიმრების დროს. პუტივლის მაზრაში ერთი გლეხის დაპატიმრების დროს გლეხებმა მოჰკლეს ურიადნიკი და მძიმედ დასჭრეს ბოქაული. ქ. პუტივლში ციხის აკლებაც კი დაუწყიათ. გლეხები მისულან პოლიციის მმართველობასთან და მოუთხოვნიათ დაპატიმრებულების განთავისუფლება. ჯარმა სამი კაცი მოჰკლა. რილსკის მაზრაშიაც ხალხი თხოულობდა დაპატიმრებულების განთავისუფლებას, მაგრამ ყაზახებმა გაჰფანტეს ამის შემდეგ გლეხებმა დააპატიმრეს საერობო დარაჯი და განუცხადეს მთავრობას: „თქვენ ჩვენი გამოუშვით და მაშინ ჩვენც თქვენსას გამოვუშვებთო". ამგვარი შემთხვევა სხვა მაზრებშიაც მომხდარა. გასაკვირველიც არ არის, რადგან პოლიცია აპატიმრებს სრულიად უდანაშაულო ხალხს. კორესპონდენტების სიტყვით, ყოფილა, მაგ., ასეთი შემთხვევა: ღამეა. სოფელს სძინავს. გამოჩნდნენ მაშხალებით პოლიციელები. გამოღვიძებულნი ხმაურობაზე გამოდიან გარედ, რომ გაიგონ, რა ამბავია, და ესმით შემდეგი სიტყვები: „თქვე საზიზღრებო, თქვენა, ცემით, მოგკლავთ, ციხეში ჩაგალპობთ, გამოგფაშვავთ, გაჩვენებთ თავისუფლებას"-ოო და სხვა ამისთანა. ბევრი დაუპატიმრებიათ მხოლოდ ერთი კითხვისათვის: „რად დააპატიმრეს ჩვენნი ამხანაგები?"

დეპეშა

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან"

13 თებერვალი

ჰელსინგფორსი. სტარო-ფინსკი პარტიის შუამდგომლობის ფინლიანდიის ნაციონალურ კრების მოწვევის შესახებ უარყოფილი იქნა უმაღლესად.

ოჩაკოვი. სხდომის შეწყვეტის დროს შემაძრწუნებელი სცენა მოხდა: შმიდტი ჯერ მშვიდათ იყო, მერმე უცბათ გაუწითლდა სახე, წამოიჭრა ფეხზე, ყელში ხელი წაივლო და უნდა დაცემულიყო, მაგრამ შეიკავეს; მან საშინელი გაურკვეველი ყვირილი მორთო. დამნაშავე მეორე ოთახში გაიყვანეს დასამშვიდებლად. მისი დამცველი ალექსანდროვი, რომელიც ავად გახდა დაღლილობის გამო, ისევ შეუდგა თავის თანამდებობის შესრულებას.

ჰელსინგფორსი. პოლიტეხნიკურ ინსტიტუტში რუსული ენა აღარ იქნება სავალდებულო, რაზედაც უმაღლესი ნებართვაც მოვიდა.

მოსკოვი. 17 ოქტომბრის პარტიის სხდომაზე აგრარულ საკითხზე შემდეგი რეზოლიუცია იქნა მიღებული: არჩეულ იქნას ადგილობრივ კომისიები მიწათმფლობელებისგან მიწათ-მოწყობის საკითხის გადასაწყვეტად. გაიხსნა სრულიად რუსეთის მემამულეთა კრება.

ვარშავა. ვარშავის უნივერსიტეტის რექტორი არღვევს ხმებს უნივერსიტეტის დახურვის შესახებ.

პარიზი. იუწყებიან, რომ რუსეთის მთავრობასა და საფრანგეთის ბანკირთა ერთ ჯგუფს შორის შეთანხმება მოხდა, რომლითაც გამოშვებულ იქნება ახალი სესხი რუსეთისა 450 მილიონ მან. სესხი იქნება 6%-ნი. „ეკო-დე-პარი" იუწყება, გავრცელდა ხმა, ვითომც გადაწყვეტილი იყოს ალჟეზირასის კონფერენციის დახურვა; საკითხი უნდა გადაწყდეს სამედიატორო სამართლით. არბიტრად მოიწვევენ ან იტალიის მეფესა და ან რუზველტსო.

ბერლინი. იმპერატორმა უთხრა გუშინ ფელდმარშლებს, რომ მისი პირველი და უკანასკნელი აზრი იყო მუდმივი ზრუნვა ხმელეთისა და ზღვის ჯარების მოწყობაზე. „ღმერთმა ჰქნას, რომ აგვცილებოდეს სისხლის ომისა, მაგრამ იგი თუ აუცილებელი შეიქნა, მე დარწმუნებული ვარ, რომ ძლევამოსილი არმია გაიმარჯვებს ისე, როგორც ამ 35 წლის წინათაო".

პეტერბურგი. უმაღლესი ბრძანება უმართებულეს სენატს: 1. რადგანაც იმპერიის უმეტეს ნაწილებში ჩქარა გათავდება საარჩევნო სიების შედგენა და გამოირკვა, როდის იქნება შესაძლებელი სათათბიროს მოწვევა, ჩვენ ვბრძანებთ, დაინიშნოს სახელმწიფო სათათბიროს მოწვევის დღედ 27 აპრილი მიმდინარე 1906 წლისა.—ნამდვილზე ხელმოწერილია: „ნიკოლოოზ". 1906 წ. 12 თებერვალი. ცარსკოე სელო.

2. რადგანაც ამ უკანასკნელ დროის არეულობამ ხელი შეუშალა საარჩევნო სიების წარმოების საქმეს, და დააგვიანა მათი შედგენა თავის დროზე, ამიტომ ჩვენ საჭიროდ ვსცანით შევცვალოთ წინანდელი ჩვენი ბრძანება, რომლითაც სათათბიროს წევრები ერთ და იმავე დღეს უნდა არჩეულიყვნენ ყველგან და ნება დავრთეთ სხვა და სხვა დროს მოხდეს არჩევნები, როგორც ეს შესაძლებელი იქნება. ამისათვის დადგენილ იქნა შემდეგი: სახელმწიფო სათათბიროს წევრების არჩევა უნდა მოხდეს იმ დღეებში, რომელნიც აღნიშნული იქნებიან უმაღლესის ბრძანებით. ნამდვილზე ხელმოწერილია: „ნიკოლოოზ." 1906 წ. 12 თებერვალი. ცარსკოე სელო.

დაითხოვნილ იქნა, თანხმად მისივე თხოვნისა, საგანგებო დესპანი და რწმუნებული მინისტრი სპარსეთის სასახლეში შპეიერი.

პეტერბურგი. 13 თებერვლის კონ.-დემოკრატების კრება აკრძალა პოლიციამ. პოლიციამვე დახურა ამ პარტიის ცენტრალური ბიურო.

ჰელსინგფორსი. სახელმწიფო ბანკის განყოფილებაში შეიჭრნენ რევოლვერებიანი და ბომბებით შეიარაღებულები და წაიღეს, რევოლიუციონერების სახელით, 180,000 მან. ერთი იმათგანი რუსულად ლაპარაკობდა.

ვარშავა. სოც.-დემოკრატი მუშები შეიჭრნენ შენობაში, სადაც არჩევნების წინა კრება იყო გამართული. ერთმა მუშამ სიტყვა ითხოვა და ლაპარაკი დაიწყო არსებულ წესწყობილებაზე. თავმჯდომარემ გააწყვეტინა. ამ დროს სროლა შეიქნა. მსუბუქად დაიჭრა რამდენიმე კაცი. ორატორი მუშა-სოციალდემოკრატს, რომელიც რევოლვერით ხელში მიძვრებოდა ხალხში, უცბათ რევოლვერი გაუვარდა და იქვე მკვდარი დაეცა.—სოლვეცის ქუჩაზე უცნობ სალდათისთვის დანის დაკვრა უნდოდა, მაგრამ ხიშტით იქნა დაჭრილი.

მოსკოვი. მემამულეების კავშირმა შემდეგი რეზოლიუცია გამოიტანა: საჭიროა გარკვევით ეცნობოს მცხოვრებთ, რომ კერძო საკუთრების უფლება ხელუხლებელია და არავითარი მიწების ჩამორთმევა არ შეიძლება პატრონის ნებადაურთველად. სასურველია საველე სამართლით დასაჯონ ისინი, ვინც სახელმწიფოს წინააღმდეგ აგიტაციას ეწევა, აჯანყებაზე წააქეზებს, მეფის მოსამსახურეების მოკვლას განიზრახავს, აგიტაციას ეწევა ჯარში ან და ძარცვა-გლეჯას მიჰყოფს ხელს.

ვილნო. ჩამოხრჩობა გადაუწყვიტეს უბნის ზედამხედველის მკვლელს იაკუნოვიჩს.

პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან.

13 თებერვალი

პეტერბურგი, 12 იანვარი. განზრახულია გააძლიერონ ჟანდარმთა შტატი პეტერბურგისა, ვარშავისა, ვორონეჟისა, ხარკოვისა, მოსკოვისა, კამიშინის ტამბოვისა და ურალის რკინის გზებზე.—შინაგან საქმეთა მინისტრმა შეიტანა სახელმწიფო საბჭოში პროექტი 1892 წლ. საქალაქო დებულების მე 45-ე მუხ. შეცვლის შესახებ. ამ პროექტის ძალით მინისტრს ნება ეძლევა ნება დართოს ქალაქების საბჭოებს შემდეგნაირად მოახდინონ არჩევნები: საარჩევნო ბარათს თვითონ ამომრჩეველი ჩააბარებს საარჩევნო კრების თავმჯდომარეს. ამ ბარათში აღნიშნული იქნება ის პირნი, რომლებსაც ამომრჩეველი ირჩევს. ამორჩეულად ჩაითვლებიან ის პირნი, რომელნიც ხმის უმეტესობას მიიღებენ. თუ კანდიდატებმა თანასწორი ხმები მიიღეს, იმ შემთხვევაში საქმე კენჭის ყრით სწყდება. ამ პროექტს განიხილავს სახელმწიფო საბჭო 18 თებერვალს.

პეკინი. რადგანაც ხმები გავრცელდა 11 თებერვალს არეულობა მოხდებაო, ამიტომ გააძლიერეს პოლიცია და საგანგებო ზომები მიიღეს, მაგრამ წესიერება არ დარღვეულა.

ირკუტსკი. მოვიდა ლინევიჩი.

პეტერბურგი. ტფილისის სამოსამართლო პალატის პროკურორი ალექსანდროვ-დოლნიკოვი ინიშნება მოსკოვის სამოსამართლო პალატის პროკურორად.

კიახტა. დაატუსაღეს „ბაიკალ"-ის რედაქტორი, მესტამბე, გაზეთის ერთი თანამშრომელი, „მეშჩანთა" სტაროსტა და ორი მასწავლებელი.—სტამბა დაბეჭდეს.

მაკაო. შინაგან საქმეთა მინისტრმა დიუბიუმ განაცხადა, რომ მთავრობა მაინც გამოსცემს კანონს სახელმწიფოსაგან ეკლესიის გამოყოფის შესახებ, რაც უნდა თავი იტეხოს პაპიმ და მისმა მიმდევრებმა.

რომი, 13 თებერვალი. ისპრავნიკი მოუწოდებს მცხოვრებთ პოლიციის ჩაბარონ იარაღი გაძლიერებული მცველები უცავენ სატუსაღოს. გაჩხრიკეს რამდენიმე გამოგდებული რეალისტი.

ტვერი. ხელახლა გაიხსნა მოროზოვის ფაბრიკა, დაკეტილი გაფიცვების დროს.

ბერლინი. გაიფიცნენ თითქმის ყველა მეეტლეები ბერლინში.

პეტერბურგი. „რუსკოე გოსუდარსტვო"-ს სიტყვით, 27 აპრილისთვის 350 წევრზე მეტი შეიკრიბება, რაც მინისტრთა საბჭოს აზრით, სრულიად საკმაო მუშაობის წესიერად წარმოებისთვის.

ლონდონი, 13 თებერვალი. „დეილი ტელეგრაფ"-ს შემდეგს აუწყებენ ტოკიოდან: ვიღაცამ ტელეგრამები დაჰგზავნა ყველგან, ცენტრალურ ობსერვატორიის სახელით, რომ მოხდება საშინელი მიწის ძვრა, რომელიც ტოკიოს სულ ერთიანად დაანგრევსო. ამის გამო გადაიდო კონცერტი, რომელსაც პრინცი კანინი უნდა დასწრებოდა, პარლამენტის სხდომა შეწყდა, წევრებმა ქუჩებში გამოირბინეს. მთელს ქალაქს შიშის ზარი დაეცა. ხალხი გაშლილ ადგილებში გარბოდა. მაგრამ არავითარი მიწის ძვრა არ ყოფილა.—ძლიერი შიშიანობაა მანჯურიის მომავლის შესახებ, რადგანაც რუსებმა უნდა უსათუოდ დასტოვონ მანჯურია. მარკიზ იტო და გრაფი ინუე აპირებენ გამგზავრებას მანჯურიისკენ.

პეტერბურგი. „ტორგოვო-პრომიშლენნაია გაზეტა" არღვევს „რუს. საგენტო-"ს ცნობას, ვითომც რუსეთს სესხი ეშოვნოს საფრანგეთში.

სტამბოლი. ოსმალეთის ელჩს ლონდონში განუცხადა, რომ ინგლისს არ შეუძლია დაეთანხმოს საბაჟო გადასახადის გადიდებას 3%-თ.—ამერიკის ელჩმა ნოტა გადასცა პორტას, რომელშიაც იგი პროტესტს უცხადებს, რატომ პორტამ 18 თვის განმავლობაში არ აასრულა ვალდებულება, შესახებ ამერიკის საქველმოქმედო და სარწმუნოებრივ დაწესებულებების გათანასწორებისა საფრანგეთისა და სხვა ქვეყნების დაწესებულებებთან. ამ კვირის გასულს ბაირუტს ამერიკის ესკადრას მოელიან.

ამ გვარად იბადება საკითხი: არსებობს თუ არა ევროპის სასოფლო მეურნეობაში ეს „დანარჩენი პირობებიც", რომ გარეგნული კაპიტალისტური ექსპლოატაცია შეიცვალოს რეფორმატორულ კაპიტალიზმით? სწორედ ამის შესახებ აცხადებს ფოლმარი დიდს ეჭვებს.

ფოლმარის მოხსენების შემდეგ დაიწყო ახალი ხანა მარქსისტულ დოგმაში. წინანდელი წინააღმდეგობა და განსხვავება აგრარული საკითხის შესახებ, რომელიც ამდენხანს როგორღაც მიმალული იყო, გაიზარდა, განვითარდა და კინაღამ ორ ნაწილად გაჰყო პარტია. ამ გარემოებაზე, გავლენა ჰქონდა ხანგრძლივს სასოფლო-სამეურნეო კრიზისს: ამ კრიზისმა ყველაზე უფრო შეარყია ისეთი მეურნეობა, რომელიც მეტად ცხოველმყოფელი და ძლიერი ეგონათ მარქსისტებს, და ბუნებრივად წამოაყენა წინ მიწათ-მოქმედების განსაკუთრებული თვისებები. მარქსი დიდის დაკვირვებით ადევნებდა თვალყურს ახალ მოვლენებს. ერთს თავის კერძო წერილში ის სწერს, რომ ვიკვლევ ინგლისის 1789 წ. სამრეწველო კრიზისს, რომლის მოვლენებს თავისებურობა შევამჩნიე ახლაო: „მაგრამ, როგორც უნდა განვითარდეს ეს კრიზისი, იგი გაივლის წინანდელ კრიზისებსავით და წარმოშობს ახალ სამრეწველო ციკლს ყველა თავის სხვა და სხვა გვარ შედეგებით ხოლო ინგლისის საზოგადოებაში, რომელიც გარედან მეტად მტკიცე სჩანს, იმალება მეორენაირი კრიზისი სამიწათ-მოქმედო კრიზისი, რომელიც მოახდენს დიდსა და მნიშვნელოვან ცვლილებებს ინგლისის საზოგადოებრივ წესწყობილებაში". შემდეგ, 1880 წ. მეორე კერძო წერილში მარქსი უბრუნდება ამავე საკითხს და ამბობს: „რაც შეეხება სამიწათ-მოქმედო კრიზისს, იგი ღონეს იკრეფს, იზრდება, თანდათან დგება მოძრაობის სათავეში და იწვევს სრულს ცვლილებას (რევოლიუციას) მიწათ-მფლობელობაში—სრულიად დამოუკიდებლად სავაჭრო სამრეწველო კრიზისების ციკლებისაგან".

რასაკვირველია, მარქსს 1848 წ. არ შეეძლო იმის დანახვა, რაც შემდეგ მოხდა. მაშინ არავითარ განსხვავებას არა ხედავდა სასოფლო მეურნეობაში, და „კომუნისტურ მანიფესტში" სწერს, რომ გლეხები და წვრილი ხელოსნები, რამდენად ისინი ებრძვიან კაპიტალიზმს თავის ეკონომიურ არსებობისათვის, წარმოადგენენ რეაქციონურ ელემენტსაო. მაშინ მარქსი დარწმუნებული იყო, რომ წვრილი, დამოუკიდებელი გლეხი „უკვე აღარ არსებობს, ან თითქმის არ არსებობს, რადგან ისპობა ყოველ დღე". მაგრამ გავიდა 50 წელიწადი, გლეხი სრულებით არ მოისპო და 1895 წელს თვითონ მარქსის ამხანაგი, ენგელსი, იძულებული იყო ერთი თავისი წერილი („საგლეხო საკითხი საფრანგეთსა და გერმანიაში") დაეწყო ამნაირის სიტყვებით: „ირლანდიიდან სიცილიამდე, ანდალუზიიდან რუსეთსა და ბოლგარიამდე გლეხი მეტად არსებითი ფაქტორია მცხოვრებთა, წარმოებისა და საზოგადოებრივ-ისტორიულ ძალისა". მიუხედავად ამისა, მარქსის მოწაფეები მაინც ძველს, 1848 წლის, შეხედულობას იმეორებდნენ და ბრესლავლის კრებაზე 1895 წ. კვლავ წარმოსთქვეს კლასიკური ფრაზა, რომ გლეხობის დამცველებს უნდათ დაიცვან „გლეხი, რომელიც უკვე აღარ არსებობს"-ო.

რედაქტორ-გამომცემელი **ალ. ზ. ჯაბადარი**

განცხადებანი

ტფილისის ქალაქის გამგეობა ამით აცხადებს, რომ იძლევა იჯარით ქალაქის **ქარვასლა** შიოევისეული (მე-6 საპოლიციო ნაწილში, აბანოებთან) და **დუქნები** ვერის მოედანზე. პირობათა გაგება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდე, გამგეობის მე-4 განყოფილებაში. (ნ.—2—1)

ფორტეპიანო
ისყიდება 90 მანეთად
მიხეილის ქუჩა, № 90, კბილის ექიმთან. ნახვა და მოლაპარაკება ყოველ დღე ნაშუადღევის 2-დან 4-მდე. (5—1)

ხეხილის ნერგები
საუკეთესო ხარისხის, საზღვარ-გარეთისა და ადგილობრივი, ისყიდება ზომიერ ფასებში **ფ. ავსარქისოვის** მამულში. კატალოგი ეგზავნება მსურველთ უფასოდ. ადრესი: კავკასიის რკინის გზის სადგური სკრა ფ. ავსარქისოვს. (10—1)

ტფილისის ქალაქის
გამგეობა
ამით აცხადებს, რომ ამა წლის 15 თებერვალს, შუადღის 12 საათზე, დანიშნულია საჯარო ვაჭრობა კანალიზაციის გასაკეთებლად ლაზარევის ქუჩაზე მე VII ნაწილში. გასაკეთებელია 128 საჟ. ბეტონის მილი 0,375+0,25-სა და 4 ჩასახედი ჭა.

წერილობითი პირობები აღნიშნულ სამუშაოების ფასების აღნუსხვით უნდა წარმოედგინოს გამგეობას დახურულ კონვერტებში ამა წლის 15 თებერვლამდე.

ვისაც სურს მონაწილეობა მიიღოს ვაჭრობაში, შეუძლია განიხილოს დაწვრილებითი პირობები გამგეობის საამშენებლო განყოფილებაში ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, ნაშუადღევის 12-დან 2-მდე, (ნ. 3—3)

✦ კბილებს ✦
ვიღებ, პლომბს ვუკეთებ, ვასუფთავებ, ვსვამ ახალ ხელოვნურ კბილებს და ვაშორებ ცუდ სუნს. გ. მ. იოხველი. მიხეილის ქ. № 90. გერმანელთა ტაძრის პირდაპირ. ხელ-მოკლეებს იაფად. (30—38).

«წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობისა»
კიოსკში
ლორის-მელიქოვის ქუჩა, ალექსანდროვის ბაღის კუთხეში, იყიდება ამხ. გამოცემული წიგნები:

	მ.	კაპ.
დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა—პოემა ბახანასი	—	10
იოსებ დავითაშვილის ლექსები	—	50
ნელდო, მოთხრობა—მელანიასი	—	20
ალ. ყაზბეგის I, ტომი	1	—
II და III ტომი თითო	1	—
ილ. ჭავჭავაძის I ტომი	—	70
იგივე II და III ტომი თითო	—	60
იგივე IV ტ. ორ წიგნად	—	80
სოფლის კუნძულ, დ. მაჩხანელისა	—	10
სიბრძნე-სიცრუე—საბა სულხან ორბელიანისა	—	40
აკაკი წერეთლის I და II ტ. თითო	—	60
რაფ. ერისთავის I ტომი	—	60
საქართველოს წარსული დრო—პოტტოსი	—	20
აივენგო რომანი—ვალტერ სკოტისა	—	55
ხიზრინე ბალზაკისა	—	30
აღა-მაჰმად-ხანის შემოსვლა ტფილისში	—	10
ლევანის დაუდეგება, პროფ. გ. პეტრიაშვილისა	1	50
რძე, მისივე	1	50
ცეცხლითა და მახვილითა, რომანი ჰ. სენკევიჩისა	—	80
დასტურ-ლამა	—	20
სურათები საქართველოს მეფეთა, დედოფალთა და ბატონიშვილთა	—	25
ფიზიოლოგია—ფოსტერისა	—	20
ხენთო რაფშუაო, თარგმანი სომხურიდან გ. ყვანჩულოვისა	1	—